პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მაკ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: ტფილისი, კრუზენ. № 4. მე-3 სართული

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე-2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76. მდივნის 10—58

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 450.000 მ. განცხადება 100.000 მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 2.500,000 მ.

№ 91 სამშაბათი, 24 აპრილი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 20,000 მან. № 91

დღიური

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

იტალიის ფაშიზმი სდგას საფრთხის წინაშე [illegible] მუსოლინის მთავრობის გადადგომა.

ამერიკის სავაჭრო სამრეწველო პალატამ გადაწყვიტა მიიღოს ფართო მონაწილეობა სრულიად რუსეთის გამოფენაზე.

თემთა პალატაში ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა კერზონმა განაცხადა, რომ ინგლისი ნეიტრალიტეტს იცავს რურის ოლქის ოკუპაციის საკითხში.

რურის ოლქის უმუშევრებთან შეტაკების დროს საფრანგეთის პოლიციას ეხმარებოდა გერმანიის მთავრობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, 24 აპრილს, საღამოს 7 საათზე,
დანიშნულია
სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის
სხდომა
ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
მდივანი საბაშვილი.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მთელი ქვეყნის მუშებს!

საჭიროა პროტესტი რეფორმისტების მიერ 1-ლი მაისის მნიშვნელობის გაბრუნდების გამო.

პროლეტარული ერთობის ძლიერი გამომჟღავნება, მუშათა კლასის თვითშეგნების ზრდის ჩვენება, ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ომის გამოცხადება—აი რა უნდა ყოფილიყო პირველი მაისი მისი შემქნელების აზრით. პირველათ ის ასეთიც იყო. კბილების ღრჭენით და ღმუილით მოელოდა მას ბურჟუაზია 1890 წელს, თითქოს გრძნობდა რომ ის შეიქმნებოდა მისთვის სასტიკი გასამართლების წინამორბედი. ახლა კი განვითარებული რეფორმიზმის ქვეყნებში, ბურჟუაზია მხოლოდ ბოროტის ღიმილით და დაცინვით უყურებს მაისის დემონსტრაციებს. **რეფორმისტებმა ხომ ბევრი იზრუნეს, რომ პირველი მაისი გადაექციათ ბურჟუაზიის დღესასწაულათ,** დაემცირებიათ მისი მნიშვნელობა უბრალო ბაზრობის დღესასწაულამდი. შეგნებულმა მუშებმა პროტესტი უნდა განაცხადონ მუშათა დღესასწაულის ასე დამცირების გამო. მაისის დღესასწაული უნდა გადაიქცეს ერთობისაკენ მწვავე ლტოლვის გამოხატულებათ, რომელიც მოიცავს პროლეტარიატის ყველა წრეებს, უნდა გამომჟღავნდეს ნების ყოფა, რომელიც კვლავ იჩენს თავს თვით თეთრი ტერორის ქვეყნებში—უნგრეთში, იტალიაში და სამხრეთ-სლავეთში.

ბურჟუაზია ამზადებს საგარეო და საშინაო ომს.

ეს მწვავე ლტოლვა ერთობისაკენ ჩქარა ჰპოებს განხორციელებას, ამაზე ზრუნავენ, თუმცა თავის ნების გარეშე, ყველა ქვეყნის კაპიტალისტები. ბურჟუაზიას არ შეუძლია ომამდი არსებული კაპიტალიზმის „ნორმალური“ ურთიერთობის აღდგენა, და აი, ის ცდილობს შექმნას უფრო ძლიერი კაპიტალიზმი, ის ცდილობს მოაწყოს ათასწლოვანი სამეფო. პროლეტარიატი კი გადააქციოს მონების კლასათ, მუშა საქონლის ფარათ. კაპიტალის შეტევას მიზნათ აქვს მუშის ცხოვრების პირობები უფრო გააუარესოს, ვიდრე ომამდი იყო.

ბურჟუაზია იმედს ამყარებს ფაშიზმზე.

რეფორმისტულმა პარტიებმა სინდისიერათ იმუშავეს ფარული თუ აშკარა კოალიციების საშუალებით, რომ გაეადვილებიათ ბურჟუაზიისათვის ამ სამარცხვინო მიზანის მიღწევა. ბურჟუაზია დამშვიდებული შესცქერის მათ დაცემას და მთელ თავის იმედებს ამყარებს ფაშიზმზე. ფაშიზმი ნიშნავს სოციალ-პატრიოტული პოლიტიკის გაგრძელებას უფრო მტკიცე საშუალებით. რაც სოციალ დემოკრატიულმა ბელადებმა ვერ შესძლეს ვერც მოტყუებით და ვერც ქადაგებით, ფაშიზმმა უნდა განახორციელოს ძალადობის საშუალებით: მან მუშათა კლასს უნდა მოახვიოს ცხოვრების და შრომის ისეთი პირობები, რომელიც ჯერ კიდევ კაპიტალიზმის ისტორიას არ ახსოვს. **ფაშიზმი წარმოადგენს უკანასკნელ შეიარაღებულ თავდასხმას მუშათა კლასზე; ის მხოლოდ დაანახვებს მუშებს ბურჟუაზიული დემოკრატიის ნამდვილ სახეს, რომლისაგან რეფორმისტები მოელიან, იძულებული არიან ელოდონ, ერთად-ერთ ხსნას,** რადგან მეტად სუსტად გრძნობენ თავს ბრძოლისათვის, როგორც განაცხადა ამას წინეთ ამსტერდამის პროფკავშირების გაერთიანების მეთაურმა ბატონმა ედეფიმენმა მუშები უნდა ებრძოლონ ფაშიზმს.

საჭიროა მთლიანი ფრონტი.

ყველა ექსპლოატატორების მთლიან ფრონტს უნდა დაუპირდაპირდეს პროლეტარიატის მთლიანი ფრონტი.

როცა კომუნისტებმა პირველათ წამოაყენეს მთლიანი ფრონტის ლოზუნგი, მუშების ფართე წრეებმა,—არა კომუნისტებმა, თავი შეიკავეს, ახლა მთელს პროლეტარიატში ერთობის და ბრძოლის სურვილი იღვიძებს. დღეს, რეფორმიზმის დამცველებმა იქადაგონ კვლავინდებურად სამოქალაქო ზავის და კოალიციის პოლიტიკა, მათ არ ძალუძთ პროლეტარიატში მთლიანი ფრონტის შექმნისაკენ მიმართული ნებისყოფის ჩაღრჩობა, ისინი ვერ იმორჩილებენ თავიანთ მომხრეებსაც კი, მასიური მოძრაობა არ ემორჩილება მათ კანონებს. ბრძოლა ხელფასისათვის, გაფიცვები, დემონსტრაციები საარის ოლქში, ბელგიაში, ჩეხო-სლოვაკეთში, უნგრეთში და სხვა ქვეყნებში ამტკიცებს, რომ პროლეტარიატის უფრო და უფრო ფართე წრეები თავის ხელში იღებენ ინიციატივას, დამოუკიდებელი ხდებიან მთლიანი ფრონტი სინამდვილეთ იქცევა არა ცალკე ბელადების შორის მჭვრეტელობის, არამედ მასსების შეუმცდარი ინსტიქტის წყალობით.

ომი—ბურჟუაზიული საზოგადოების ნორმალური მდგომარეობაა.

მუშებს უკვე არ სჯერათ, რომ „უკეთესია ბურჟუაზიასთან ზავში ყოფნა“. სამოქალაქო ზავის პოლიტიკამ არაფერი მისცა მათ გარდა შრომის ხელფასის შემცირებისა, სიძვირისა, სამუშაო დღის გახანგრძლივებისა, უმუშევრობისა, რეპრესიებისა და სხვა. ამას ემატება აგრეთვე ახალი ომის საშიშროება, რომელიც ყოველ დღე იზრდება. რასაკვირველია ბურჟუაზია გაჰყვირის ზავის შესახებ. არა კაცთმოყვარეობის ან პაციფისტური გულუბრყვილობის გამო, არამედ მისი ბუნებისათვის ძვირფასი მოგების კვლავინდებურათ მისაღებად. მას არ შეუძლია ზავის დამყარება. ის შეეცადა დაემყარებია ზავი ვერსალში და ამის შემდეგ გულში მუდმივი შიშით განაგრძობს ამ ზავის „დამყარებას“, რომელიც განხორციელებას კაცობრიობა ჯერაც ვერ მოესწრო. ბურჟუაზია დღეს იძულებული არის ილაპარაკოს „ვერსალის ხელშეკრულების ნაშთებზე“ ეს ხელშეკრულება კი უნდა ყოფილიყო უდიდესი ისტორიული აქტი. თითეული ახალი დღე აღრმავებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის არსებულ წინააღმდეგობას და ქმნის ახლებს. **ომი შეიქნა ბურჟუაზიული საზოგადოების ნორმალური მდგომარეობა, როგორც ამას ამტკიცებს რურის ამბები.** ხანგრძლივი ზავის მიცემა შეუძლია მხოლოდ პროლეტარიატს, რომელმაც შეიგნო თავისი ამოცანები და მზად არის თავგანწირული ბრძოლისათვის.

დემონსტრაციის ლოზუნგები.

ბრძოლა ფაშიზმის და ომის წინააღმდეგ მთლიანი ფრონტის შექმნელათ, ნიშნავს ამავ დროს ბრძოლას საბჭოთა რუსეთისათვის.

საბჭოთა რუსეთი სასიკვდილო ლახვარია ბურჟუაზიისათვის. თვით ბოლშევიკური სახელმწიფოს არსებობაში ბურჟუაზია სამართლიანად ხედავს მსოფლიო რევოლიუციის მუდმივ საშიშროებას და ამიტომ სძაგს იგი ისე ძლიერათ, როგორც უყვარდა მეფის რუსეთის კონტრ-რევოლიუციონური სისტემა. ამიტომ კლასობრივათ შეგნებული პროლეტარიატის ვალია დადგეს საბჭოთა რუსეთის მხარეზე. თავის რუს მოძმეებთან კავშირში ისინი დაამარცხებენ კაპიტალიზმს.

მუშებო, გაილაშქრეთ პირველ მაისს ფაშიზმის და ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ, მოითხოვეთ პროლეტარული მთლიანი ფრონტი, დაიცავით საბჭოთა რუსეთი.

მსოფლიო რევოლიუცია ახლოვდება. მას ვერ შეაჩერებს ვერაფერი, ფაშისტური გაფთრება, რურზე ყაჩაღური თავდასხმა, მეორე ინტერნაციონალის ვერაგული ღალატი—ვერაფერი, ვერაფერი ვერ იხსნის ბურჟუაზიას.

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციას!

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

კომინტერნის აღმასკომი.

სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებისათვის

ამ ჟამად მუშაობს სრულუფლებიანი საუწყებათაშორისო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს მთელი რესპუბლიკის მასშტაბით საბჭოთა დაწესებულებების გამოკვლევა, შტატების შემცირება, გაძევება ხელისუფლების ორგანოებიდან შეუფერებელ, გამოუსადეგარ და ბოროტმოქმედ ელემენტების და საერთოდ სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღება.

ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ ჩვენი ფინანსიურ და საერთოდ ეკონომიურ საშუალებათა სიმცირეზე და ხარჯების შემოკლების საჭიროებაზე. სახელმწიფო ფინანსების მომჭირნეობის აზრით, სხვათა შორის, ორჯერ მოვახდინეთ შტატების თითქო გენერალური შემცირება, მაგრამ აქედან მაინც და მაინც ბევრი არაფერი გამოსულა, ამას საგრძნობი რეალური შედეგი არ მოუცია. ეხლაც რო შევიდეთ ჩვენი ზოგიერთ დაწესებულებებში, იქ ბლომად წააწყდებით უსაქმო თანამშრომლებს, რომელნიც „ბუზებს თვლიან“. საბჭოთა ორგანოების შტატები დღესაც უზომოდ გაბერილია. ეს ვეებერთელა შტატი, სრულიად ზედმეტი საბჭოთა ნაყოფიერი საქმიანობის თვალსაზრისით, მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ხაზინას.

აიხსნება ეს იმ გარემოებით, რომ ჩვენ არ გვქონდა საკმაო გამოცდილება ამა თუ იმ დაწესებულების მუშაობის მასშტაბის და ხასიათის შესახებ, რის გამო ყოველთვის ვტოვებდით მოსამსახურეთა გაცილებით მეტ რაოდენობას, ვინემ ეს ნამდვილად აუცილებელი იყო. არა ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აქ ე. წ. უწყებრივ პატრიოტიზმს. ჩვენ ვიცით, თუ რა მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ შტატების შემამცირებელ კომისიებს დაწესებულებათა ზოგიერთი წარმომადგენელნი, რომელნიც მოითხოვდნენ თანამშრომელთა დიდი რაოდენობის დატოვებას. მათ ამ პრეტენზიებს ნაწილობრივ უეჭველად უდევდა საფუძვლად ხსენებული „პატრიოტიზმი“, თუმცა ისინი თავიანთ მოთხოვნას „ასაბუთებდენ“ დაწესებულების ინტენსიურ, მრავალმხრივ და რთულ მუშაობაზე მითითებით და საქმის ინტერესით.

დღეს პრაქტიკით ჩვენ სისწორით ვიცით, თუ რამდენი თანამშრომელი ნამდვილად ესაჭიროება ამა თუ იმ დაწესებულებას, ამასთან როდისმე ხომ უნდა მოეღოს ბოლო „უწყებრივ პატრიოტიზმს“ და მასზე მაღლა უნდა იქნას დაყენებული სახელმწიფო ფინანსების და საბჭოთა აპარატის გაჯანსაღების ინტერესები.

იმ კომისიამ, რომელიც ზევით ვახსენეთ, უნდა მოახდინოს საბჭოთა შტატების მაქსიმალური შემცირება და ჩამოაშოროს სახელმწიფოს ის ტვირთი, რომელიც მას ადევს ზედმეტი თანამშრომლების უსარგებლო შენახვის სახით.

ვინ უნდა იქნან შემცირებულნი, სამსახურიდან დათხოვნილნი? აქ ისმის საკითხი საბჭოთა აპარატის გაწმენდის შესახებ

ჩვენ რამდენიმეჯერ მოვახდინეთ სხვა და სხვაგვარი „წმენდა“. მიუხედავად ამისა, სახელმწიფო ორგანოებში დღესაც ბლომად არიან დარჩენილნი გამოუსადეგარი, საეჭვო და პირდაპირ ბოროტმოქმედი ელემენტები. შემცირება და წმენდა მათ უნდა შეეხოთ პირველ ყოვლისა. საუწყებათაშორისო კომისია უნდა მიუდგეს თითეულ მოსამსახურეს მისი ცოდნის, უნარიანობის, გამოცდილების, საიმედობის თვალსაზრისით და გააძევოს დაწესებულებისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის შეუფერებელი ხალხი.

შტატების შემცირება და გაწმენდა გაამარტივებს და გააჯანსაღებს აპარატს.

დასამალი არ არის, რომ ჩვენი სახელმწიფო აპარატს ჯერ კიდევ დიდი დეფექტები ახლავს. ერთი უმთავრესია ბიუროკრატიზმი, ფორმალიზმი, საქმის გაჭიანურება, ეს აფერხებს მთელ საბჭოთა აღმშენებლობას, ეს ხელს უშლის მშრომელ მასსის მჭიდროდ დაახლოვებას თავის სახელმწიფო ორგანოებთან აქ მოკალათებული ბიუროკრატი, მოხელე ნაკლებ ყურადღებას აქცევს მუშის და გლეხის ინტერესებს, მათ საჭიროებებს, ცდილობს ისინი თავიდან მოიშოროს, რის გამო ესა თუ ის დაწესებულება უცხო ხდება მშრომელი მასსისათვის, ის მას უნდობლობით უწყებს ცქერას. ბიუროკრატიზმი თხრის უფსკრულს საბჭოთა ხელისუფლებასა და მშრომელ ხალხს შორის. ის უბოროტესი მტერია მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ხელისუფლების. მას უნდა გამოეცხადოს დაუნდობელი ბრძოლა. სრულ ჭეშმარიტებას შეიცავს რ. კ. პ. ცკას წინადადება, რომელიც მან შეიტანა პარტიის მე-XII ყრილობაზე: „სახელმწიფო აპარატის სისტემატიური გაუმჯობესება—მისი ნამდვილი გაწმენდა ბიუროკრატიზმისაგან, ძველი „კაზიონშჩინისაგან“ მისთვის ჭეშმარიტად საბჭოთა, სოციალისტური ხასიათის მიცემას,—აყენებს, როგორც უახლოეს წლების ცენტრალურ ამოცანას“.

ეს იქნება ჩვენი სისტემატიური მუშაობის საგანი. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს დაწესებულებების შტატების შემამცირებელმა და გამწმენდმა საუწყებათაშორისო კომისიამ.

ამ გვარად, ამ კომისიის მუშაობის შედეგად ჩვენ მოველით: შტატების მაქსიმალურ შემცირებას, ამასთან დაკავშირებით სახელმწიფოს განთავისუფლებას ზედმეტი ხარჯებისაგან, ფინანსების გაჯანსაღებისათვის ხელის შეწყობას; დაწესებულებათა გაწმენდას ყველა უვარგის და მავნე ელემენტებისაგან, ამით საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებას, მათი დეფექტების თუ მთლად მოსპობას არა, მათი შესაძლებელ მინიმუმამდე დაყვანას, კერძოდ ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ უკიდურეს ზომების მიღებას. ეს ამოცანები უნდა შეასრულოს აღნიშნულმა საუწყებათაშორისო კომისიამ.

საერთოდ კი ჩვენი სისტემატიური მეცადინეობის საგანს უნდა შეადგენდეს სახელმწიფო აპარატის სრული და ყოველმხრივი გაჯანსაღება, ის უნდა იყოს მარტივი და მშრომელ ხალხთან მჭიდროდ დაკავშირებული რაც არ უნდა დაგვიჯდეს, ამ მიზანს უნდა მივაღწიოთ.

კომუნისტური ინტერნაციონალი და საბჭოთა სახელმწიფო

ყველა ქვეყნის და ჯურის რეფორმისტები ბრალს სდებენ კომუნისტურ ინტერნაციონალს, რომ ის არის ბრმა იარაღი საბჭოთა მთავრობის ხელში, არც მეტი, არც ნაკლები.

გამოდიან რა ამ სრულიად შემცდარი აზრიდან, ისინი აღშფოთებული არიან და იეზუიტ ეგნატე ლოილას ადარებენ ამხ. ვოროვსკის, რომელმაც რომში განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა ვერ აგებს პასუხს კომინტერნის მოქმედების და გამოსვლების გამო, რომელიც დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანოა და ამიტომ მისი მანიფესტები და მოწოდებები არ საჭიროებენ სახალხო კომისართა საბჭოს რატიფიკაციას.

რასაკვირველია, ინტერნაციონალისა და მისი სექციებისათვის არაფერი არ არის სამარცხვინო იმაში, რომ ემსახუროს რევოლიუციას და იყოს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს იარაღი. ყოველი რევოლიუციონური ორგანიზაციისათვის სავალდებულოა რომელიმე სახელმწიფოში გამარჯვებული მუშური რევოლიუციის დახმარება. თითეული ინტერნაციონალისტი ოქტომბრის რევოლიუციას აფასებს არა როგორც „რუსულ“ რევოლიუციას, არამედ როგორც ავანგარდს საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციისას. სამარცხვინო იქნებოდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს სამსახური, როგორც ამას ჩადიან რეფორმისტები 1914 წლიდან, მაგრამ სოლიდარობა, რომელიც აკავშირებს რევოლიუციონურ რუსეთს მთელი ქვეყნის კომუნისტურ ორგანიზაციებთან, სრულიად ბუნებრივი მოვლენაა.

მიუხედავათ ამისა, დამოკიდებულება კომუნისტურ ინტერნაციონალსა და რუსეთის სახელმწიფოს შორის სრულიად არ არის ისეთი, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ რეფორმისტებს. ინტერნაციონალი არ არის იარაღი, რომელსაც თავისი სურვილებისამებრ ატრიალებენ ამხანაგები ჩიჩერინი, ლიტვინოვი და კარახანი. ამიტომ ამხ. ვოროვსკი მართალი იყო, როცა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ვერ აგებს პასუხს კომუნისტური ინტერნაციონალის და მისი სექციების მოქმედების გამო.

სოლიდარობა, რომელიც აკავშირებს საბჭოთა რუსეთს კომუნისტურ ინტერნაციონალთან, სულ სხვა ხასიათის არის და უფრო მეტად ეხება საერთაშორისო რევოლიუციის საერთო ინტერესებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ თითეული ინტერნაციონალისტი რუსეთის რევოლიუციას აღიარებს საერთაშორისო რევოლიუციის ავანგარდად. ჩვენმა ამხანაგებმა რუსეთის კომუნისტური პარტიიდან პირველებმა დაუჭირეს მხარი ამ აზრს და ინტერნაციონალისტური გახადეს თავისი რევოლიუცია. მათ მიერ მიღწეული შედეგები უსათუოდ უნდა იქნან დაცული საერთაშორისო პროლეტარიატის მიერ, როგორც თავისი მნიშვნელოვანი გამარჯვება, მაგრამ კოლოსალური ძალა, რომელსაც წარმოადგენს საბჭოთა სახელმწიფოების კავშირი, აგრეთვე უნდა ემსახუროს საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებას. ურთიერთ დახმარება, შეთანხმება ღონისძიებათა და იმ საშუალებების, რომელიც იმყოფება რუსეთის სახელმწიფოს და ინტერნაციონალის განკარგულებაში, არის ნორმალური ფორმა დამოკიდებულების ამ ორ ორგანოს შორის.

ვიტყვით უფრო ნათლათ. რუსეთის სახელმწიფოს და საერთაშორისო რევოლიუციონური მოძრაობის შესათანხმებლად საჭიროა ხელმძღვანელი ორგანო, საჭიროა მთავარი შტაბი, რომლის განკარგულებაში იქნება ერთად როგორც ავანგარდი, ისე მთავარი მებრძოლი ძალები. ასეთი უმაღლესი ორგანოა კომუნისტური ინტერნაციონალი და არა საბჭოთა მთავრობა.

ეჭვს გარეშეა, რასაკვირველია, რომ კომინტერნი რუსეთში იმყოფება მუშურ-გლეხური სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ, მაგრამ რუსეთის სახელმწიფოს საერთო პოლიტიკის მიმართულებას აძლევს და კონტროლს უწევს კომუნისტური ინტერნაციონალი.

საბჭოთა მთავრობა რუსეთის კომუნისტური პარტიის ხელშია. ეს პარტია მესამე ინტერნაციონალის ერთი-ერთი სექციაა და ემორჩილება ისე, როგორც სხვები, ინტერნაციონალის კონტროლსა და ავტორიტეტს.

და მართლაც, არ ყოფილა კომინტერნის აღმასკომის გაფართოებული პლენუმის არც ერთი სხდომა, რომელზედაც რუსეთის კომუნისტურ პარტიის თავისი და მთავრობის პოლიტიკისათვის კრიტიკა არ გაეწია და სარატიფიკაციოდ არ წარედგინა ინტერნაციონალისათვის.

ინტერნაციონალი ხელმძღვანელობს, ათანხმებს და იმუშავებს რევოლიუციონურ ძალების გამოყენების გეგმას როგორც რუსეთში, ისე მთელს მსოფლიოში. ამიტომ ამხ. ვოროვსკი მართალი იყო, როცა განაცხადა, რომ რუსეთის მთავრობა ვერ აგებს პასუხს კომინტერნის მოქმედების გამო იტალიის ფაშიზმის მიმართ. ინტერნაციონალი კი არ არის იარაღი რუსეთის მთავრობის ხელში, არამედ, წინააღმდეგ, მთავრობა არის კომინტერნის ერთ ერთი აღმასრულებელი საშუალება, რომელიც ამიტომ პასუხისმგებელია რუსეთის მთავრობის პოლიტიკასა და მოქმედებაში.

ინტერნაციონალი რევოლიუციონური ძალების კოორდინატორის როლს თამაშობს არა მარტო კონგრესებზე. ჩვენ, რომელნიც ახლო ვიცნობთ მის მუშაობას, შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ყოველდღიურათ რუსეთის კომუნისტური პარტიის საშუალებით მესამე ინტერნაციონალი და მისი სექციები ერევიან რუსეთის პოლიტიკაში და საბჭოთა რუსეთის არც ერთი მნიშვნელოვანი გამოსვლა არ მომხდარა დაინტერესებული ქვეყნების კომპარტიების მიერ განუხილველად.

მაგრამ ინტერნაციონალის სექციები არ ივიწყებენ, რომ რუსეთის რევოლიუციის ინტერესები მტკიცედ არის დაკავშირებული საერთაშორისო რევოლიუციის განვითარებასთან და, რამდენათაც ისინი ხელს უწყობენ საბჭოთა რუსეთის ძლიერების განმტკიცებას მთელს მსოფლიოში, ისინი მუშაობენ საერთაშორისო პროლეტარიატის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის.

ჟ. იუმბერ-დროზი.

(„ლიუმანიტე“ 6 აპრ. 1923).

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა

საბჭოთა ფედერაციის მრეწველობა

ამხ. ტროცკის მოხსენება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის მეთოდი.

მოსკოვი. 20 აპრილს საღამოს სხდომაზე მოხსენებას აკეთებს ამხ. ტროცკი. „კომინტერნის 4-ე კონგრესზე, ამბობს ტროცკი, ჩვენ უცხოეთის პარტიებთან ერთად განვიხილეთ საკითხი იმის შესახებ, მოუხდებათ თუ არა იმათაც ახალი ეკონომიური პოლიტიკის ეტაპის გავლა. ამ საკითხზე ჩვენ ყველამ საერთოდ უპასუხეთ. რამდენადაც ახალი ეკონომიური პოლიტიკა არის მუშათა სახელმწიფოს მიერ კაპიტალისტურ საზოგადოების დაწესებულებათა მეთოდების და საშუალებების გამოყენება სოციალისტურ მეურნეობის აღმშენებლობაზე გადასასვლელად, იმდენათ ყველა მუშათა სახელმწიფოები გაივლიან ამ პერიოდს, ზოგი ძალიან ვრცლად, ზოგი კი უფრო შემოკლებული გზით. მუშათა სახელმწიფო იძულებულია გამოიყენოს ეს მეთოდები, იმიტომ რომ საწარმოვო ძალთა და საშუალებათა მეურნეობის სხვა და სხვა დარგთა შორის განაწილებისთვის სხვა მეთოდები ჯერჯერობით არ მოიპოვება.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანები.

ჩვენში ახალი ეკონომიური პოლიტიკა ეყრდნობა სასოფლო მეურნეობას. წარმოების ძალა და საშუალებათა განაწილების ეს მთავარი საკითხი უწინარეს ყოვლისა ეხება ქალაქსა და სოფელს შორის არსებულ ურთიერთობას. აი სპეციფიური ხასიათი ჩვენი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა. ახალი ეკონომიური პოლიტიკის ამოცანაა წინ წასწიოს ჩვენი ქვეყნის საწარმოვო ძალები და დააყენოს ეს აღორძინებული ძალები სოციალისტურ გზაზე. თუ დავსვამთ საკითხს, ხელს უწყობს თუ არა ბაზარი საწარმოვო ძალთა აღორძინებას ჩვენს ქვეყანაში, ჩვენ ყოველ გვარ მერყეობის გარეშე უნდა ვუპასუხოთ ამაზე დადებითად.

ნაყოფიერება იზრდება.

აი ციფრები... განაგრძობს ამხ. ტროცკი, [illegible] ეხება ჩვენ შემოსავალს.

მეურნეობის ყველა დარგების საერთო შემოსავალი 1913 წელს შეადგენდა 11 მილიარდზე მეტ ოქროს მანეთს. 21 წელში—4 ნახ. მილიარდ მანეთს, ხოლო 22 წელში—5 1 მეს. მილიარდ მანეთს. მაშასადამე 21 წლიდან 22 წლამდე შენიშნულია შემოსავლის ზრდა 4 ნახ.—5, 1 მეს. მილიარდ ოქროს მანეთამდე. მრეწველობამ 13 წელს შემოიტანა 4 მილიარდი მანეთი, 21 წელს—920 მილიონი ოქრ. მანეთი, და 22 წელს—1 მილიარდი ოქრ. მანეთი. შინამრეწველობამ 13 წელს შემოიტანა 730 მილიარდი ოქრ. მანეთი, 21 წელს—ეს ციფრი შემცირდა 250 მილიონ მანეთამდე, და 1922 წელს—იგი უდრის 435 მილიონ მან. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საწარმოვო ძალთა მომატება ფაქტია. შრომის ნაყოფიერებაც აგრეთვე გაიზარდა, რასაც შედეგად მოჰყვა ხელფასის გაზრდა. მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ ამ წელში ჩვენ მრეწველობას ქონდა ზარალი.

მეორე პერიოდი.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირველი პერიოდისაგან გამომდინარეობს მეორე პერიოდის ამოცანები. გაცვლა-გამოცვლას ქალაქს და სოფელს შორის, რომელიც პირველ ხანებში იყო პრიმიტიულ მოხმარებითი, უნდა მიეცეს თანდათან მეტი ნაყოფიერების ხასიათი. ჩვენი ამოცანაა წავმართოთ მუშაობა ამ მხრივ სახელმწიფოებრივ — სოციალისტური გზით. ეს არის მჭიდრო კავშირი ქალაქსა და სოფელს შორის.

საჭიროა მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების კონცენტრაცია.

შემდეგ ამხ. ტროცკი გადადის ჩვენი ტრანსპორტისა და მრეწველობისთვის ფინანსიური დახმარების ამოცანებზე. ჩვენი წარმოებათათვის ფინანსიური დახმარების გაწევა, ამბობს ამხ. ტროცკი, არის წარმოებათა ხელმძღვანელობა. ფინანსიური აპარატი ხდება მრეწველობის მართვა-გამგეობის ძირითად აპარატად.

აი ამიტომაც მრეწველობისათვის ფინანსიური დახმარების საქმე უნდა იქნეს მოქცეული ერთ—საფინანსო საკრედიტო დაწესებულებაში—სავაჭრო-სამრეწველო ბანკში, რომელიც ჩვენი კონსტრუქციის მიხედვით იქნება სახელმწიფო ბანკის ფილიალი.

საჭიროა მონოპოლია.

რაც შეეხება საგარეო ვაჭრობას, განაგრძობს ორატორი, საბჭოთა მე-9 ყრილობამ განაცხადა, რომ იგი არის საბჭოთა მეურნეობის შემადგენელი ნაწილი და ხელი კი არ უნდა შეუშალოს მრეწველობას, არამედ სამსახური უნდა გაუწიოს მას. ჩვენი ქვეყნის მრეწველობის განვითარების იმედი დამყარებულია, ჯერ ერთი—პარტიის პოლიტიკურ ძალა-უფლებაზე, რომელსაც ამაგრებს წითელი არმია და მეორე—მრეწველობის ნაციონალიზაციაზე და მესამე—საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე.

სამეურნეო გეგმა.

ჩვენი მრეწველობის აღორძინების პროცესის დაჩქარება, შეიძლება მხოლოდ სამეურნეო გეგმით. უნდა გაუფრთხილდეთ, განაგრძობს ამხ. ტროცკი, თვითეულ საბჭოთა კაპეიკს. ხოლო საბჭოთა კაპეიკიდან, კი შესდგება სოციალისტური მანეთი. ეს იმას ნიშნავს, რომ უნდა გაუფრთხილდეთ თვითეულ კაპეიკს წარმოების ყოველ დარგში. მხოლოდ მაშინ ჩვენ მივიღებთ მოგებას, რადგან კაპიტალისტების მოგებაც კი ამ მცირედზეა დამყარებული. უნდა შევუქმნათ პარტიას მტკიცე საზოგადოებრივი აზრი. საჭიროა აღვრიცხოთ და ვიცოდეთ ჩვენი მეურნეები, რადგან ჩვენ ვიცოდით და აღრიცხული გვყავდა წითელი არმიის თვითეული გმირი და კომანდირი მომჭირნეობის წასაქეზებლად, შესაძლებელია, საჭირო იქნება, შემოვიღოთ პრემიები.

ჩვენ გამოვიყვანთ ქვეყანას სიღატაკიდან.

ათავებს რა თავის სიტყვას, ამხ. ტროცკი ამბობს: „მე ვიცი როგორ ფხიზლათ და გულდასმით ეპყრობა 12-ე ყრილობა ამგვარ საკითხებს და ეს ამტკიცებს ჩვენი პარტიის სიფხიზლეს, მის პოლიტიკურს და მორალურ ჯანმრთელობას. უნდა ვიბრძოლოთ ყოველგვარ ცდის წინააღმდეგ, რომელიც მიმართული იქნება ჩვენი პარტიის ხელმძღვანელების და დიქტატურის შესუსტებისაკენ სამეურნეო მუშაობით.

სამეურნეო ფრონტზე.

ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ სრული იმედი, რომ მიუხედავათ მეტად ძნელი მომენტისა, ყრილობა იქნება საჭირო პუნქტი უფრო მედგარი სამეურნეო შეტევის საწარმოებლად.

მიუხედავათ ჩვენი სიღარიბისა და უცოდინარობისა, ჩვენ უნდა დავსძლიოთ ყველა ძნელება და გამოვიყვანოთ ქვეყანა სიღატაკიდან“. (მქუხარე ტაში).

საღამოს სხდომა (21 აპრილს)

ამხ. ტროცკის საბოლოვო სიტყვა

ომამდე.

მოსკოვი. 22 აპრილი. 21 აპრილის საღამოს სხდომაზე საბოლოვო სიტყვას ამბობს ამხ. ტროცკი, „ომამდე, ამბობს, ამხ. ტროცკი, ჩვენ გვქონდა ნახევრად—ველური მეურნეობა ერთის მხრივ და კონცენტრირებული მრეწველობა მეორეს მხრივ. ომმა ამ ევროპიულ კომპლექტში მოახდინა დიდი ცვლილება: მობილიზაცია უყო მრეწველობას და გლეხობას და ჯერ გაამდიდრა იგი, ხოლო შემდეგ გააღატაკა. შემდეგ დაიწყო რევოლიუცია.

ნ ე პ ა.

სამოქალაქო ომმა კიდევ უფრო მეტი ცვლილება მოახდინა სამეურნეო წყობილებაში. შემდეგ გაჩნდა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელმაც საშუალება მისცა ამ ორგანიზმს გამობრუნებულიყო. გაცვლა და გაყიდვა დაიწყო სოფლად. შინამრეწველი და სავაჭრო კაპიტალი აი პირველი ეტაპი ჩვენი სამეურნეო ორგანიზმის [illegible] ახალი ეკონომიური პოლიტიკის რეჟიმის შემდეგ.

შინა მრეწველობა.

ჩვენ ვამჩნევთ, რომ შინამრეწველობა გამოცოცხლებას იწყებს. ეს აუცილებელი, ნორმალური, და პროგრესიულია. ამისით ჩვენ ვერ წავალთ წინ. ეს არის ბაზრის საფუძველი. რას მოასწავებს შინა მრეწველი? შინამრეწველი სახელმწიფოებრივ მრეწველობას პარალელურად ზრდის და განვითარების დროს განიცდის სავაჭრო კაპიტალის ბატონობას და სავაჭრო კაპიტალის დაკავშირება შინამრეწველ-კულაკთან, რომელიც თანდათან იმორჩილებს სხვა შინამრეწველებს, წარმოადგენს ჩვენთვის უსათუოთ დიდ საფრთხეს და ასეთი პერსპექტივის არ დანახვა და არ შეფასება — ნიშნავს დაბრმავებას და ყოველგვარ საფრთხის მოახლოებას.

სასოფლო მეურნეობა.

ჩვენი სამეურნეო ხელოვნება უნდა მდგომარეობდეს იმაში, რათა მრეწველობის განვითარება, მანამ, სანამ შემოდის საზღვარ-გარეთელი კაპიტალი, მჭიდროთ დაუკავშიროთ სასოფლო მეურნეობას.

მეურნეობა ჩვენს ქვეყანაში იწყებს გამოცოცხლებას. ორი სამი მოსავალი კიდევ და გამოცოცხლდება დიდი ნაბიჯებით წავა წინ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ არავითარ შემთხვევაში ჩვენ უბრალოთ არ უნდა აღვნიშნოთ შინამრეწველობის ზრდა. არამედ უნდა ვეძიოთ საშუალებანი შევამციროთ სახელმწიფოებრივი მრეწველობის თვითღირებულება.

პასუხი ამხანაგ ბოგდანოვს.

ამხ. ბოგდანოვი, შეეხო რა ის ჩემი მოხსენების პირველ ნაწილს, ამტკიცებდა, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკას აქვს პროგრესიული მნიშვნელობა, იმიტომ, რომ მან აამოძრავა სოფელი და შინა მრეწველობა, და აგრეთვე ხელოსნობა და წვრილი მრეწველობა. მაგრამ ეს ხომ მასაზრდოებელი კლასია, რომლის საშუალებითაც ჩვენ მივედით ჩემი მოხსენების პირველ ნაწილამდე. არ შეიძლება ეჭვი შეიტანოთ ჩემ კეთილ განწყობილებაში ამ შინამრეწველთადმი. მაგრამ ბოგდანოვს უნდა განუმარტოთ, რომ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო არ არის შინამრეწველობის მფარველი საზოგადოება, არამედ იგი არის ორგანიზაცია, რომლის მიზანია წინ წასწიოს სახელმწიფოებრივი გაერთიანებული მრეწველობა, დაიპყროს ბაზარი ეკონომიურად და კულტურულად და დაიმორჩილოს შინა-მრეწველნი და ამგვარად ხელში ჩაიგდოს მთელი ქვეყნის ეკონომიკა.

პასუხი ამხ. სმილგას.

ამხ. სმილგა მეკითხება მე გეგმითი მუშაობაზე. ამ საკითხზე ჩვენ უპასუხეთ კომისიას: „მე მახსოვს ეს“. სრულიად ცხადათ ლაპარაკობს რეზოლიუცია, რომ მრეწველობის ძირითადი გეგმიანობა არ შეიძლება მიღწეულ იქნას თვით მრეწველობის შიგნით, არამედ იგი უნდა შეადგენდეს განსაკუთრებულ მთავარ ორგანოს ამოცანას, რომელი ორგანოც იდგომება მრეწველობის მთელ ორგანიზაციის სათავეში და შეაკავშირებს უკანასკნელს ფინანსებთან და სხვ. ასეთ ორგანოთ ითვლება „სახელმწიფო გეგმა“ (ГОСПЛАН).

პასუხი ლომოვს.

ამხ. ლომოვი სჩიოდა, რომ კალკულიაცია ბრკოლდება. მართალია აქ საჭიროა გეგმითი საფუძველი. შრომისა და დაცვის საბჭო მუშაობს და მე ვფიქრობ, ის მიიღებს შესაფერ შესწორებას. რაც შეეხება ტიპოგრაფიულ საქმეს, ლომოვი არ არის მართალი, თითქოს ამხ. ტროცკის, როგორც ჟურნალისტს, სასტამბო დარგისაკენ ლტოლვის მანია აქვს. საქმე ამაში არ არის. ჩვენს საგამომცემლო საქმესა და პოლიგრაფიულ მრეწველობაში არის გადახრა, და ზოგჯერ მეტად არა ჯანსაღი. ჩვენში გამოდის დიდებული გამოცემები, სახელმწიფო გამომცემლობას აქვს ისეთი წიგნები, რომლებიც საამაყო იქნებოდა ყოველ ევროპიულ გამომცემლობისათვის, ჩვენი გაზეთის კითხვა კი შეუძლებელია. გაზეთები არსებობენ მასსიურ გასაღებისათვის. არ შეიძლება მუშათა მასსების აღზრდა ცუდი გაზეთების საშუალებით. ამის პასუხად ტრესტისკენ გვითითებენ.

თუ ტრესტი ვერ შესძლებს უკეთესის გაზეთების გამომცემლობას, მაშინ სხვანაირათ მოვიქცევით ტიპოგრაფიებს გაზეთებს გადავცემთ.

პასუხი კრასინს.

ამხ. კრასინი საკითხს მიუდგა უფრო რადიკალურ თვალსაზრისით. მან საერთოდ და მთლიანათ მიიღო ის სურათი ჩვენი სამეურნეო აღმშენებლობისა, რომელიც დავხატე აქ. მაგრამ მკიცხავს ჩვენ წინ მდგომ ამოცანებისადმი ჩხირკედლური მიდგომისათვის. დაგროვება სწარმოებს სხვა და სხვა გზით: სასოფლო მეურნეობაზე გადასახადების დაწესების გზით, კომისიონური გზით—გლეხობის ჯიბის საზღვარ გარეთ გადაზიდვის საშუალებით და საბჭოთა აპარატის შემცირებისა და მისი გაიაფების გზით. კეთილი, ამბობს ამხ. კრასინი, მაგრამ ბურჟუაზია ასე არ ვითარდებოდა. დიახ, ეს მართალია, ის კისერს უგრეხდა მთელს კოლონიალურ ხალხებს, ძარცვავდა, გამოქონდა, აშენებდა თავის სიმდიდრეს ინდოეთისა და სხვა ერების გლეხთა ძვლებზე ჩვენ ვერ მივიღებთ ასეთ მეთოდებს. ყველა ჩვენი იმედები სოციალისტურ მეურნეობის განვითარების შესახებ დამყარებულია 4 ელემენტზე: პარტიის დიქტატურა, წითელი არმია, საწარმოვო საშუალებათა ნაციონალიზაცია და საგარეო ვაჭრობის მონოპოლია. საგარეო ვაჭრობის მონოპოლია განმტკიცებულია ჩვენში არა მარტო პრინციპიალურათ, არამედ ფაქტიურათაც. წითელი არმია, საკადრო რაოდენობამდე მიყვანილი, უმჯობესდება და მტკიცდება და ის უზრუნველყოფს ჩვენს ურღვევლობას იმდენათ, რამდენათაც ვერ უზრუნველყოფს მას ვერავითარი სხვა ძალა“.

ტროცკის სიტყვა დაფარული იყო მხურვალე აპლოდისმენტებით.

ყრილობის მიერ მიღებულია ამხ. ტროცკის თეზისები.

ამხ. ტროცკის დასასრულ სიტყვის შემდეგ მიღებული იყო საფუძვლად ტროცკის თეზისები. რეზოლიუციის გამოსამუშავებლად არჩეულია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ამხ. ტროცკი, რიკოვი, სმილგა, ბოგდანოვი, სოკოლნიკოვი, პიატაკოვი, ანდრეევი, ნოგინი, ხინჩუკი, კრასინი, რაკოვსკი და სხვ.

უნივერსიტეტი და დღევანდელი ჩვენი სტუდენტობა

დღეს სწარმოებს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში.

პოლიტიკურ-ეკონომიურ-კულტურული სიძლიერე—ასეთი მიზანი.

ჩვენ გვესაჭიროება კულტურული ძალები, მომზადებული, სპეცები, რომელთა მეცხოვრებით შეიძლება იმის გამაგრება და განვითარება რაიც დღემდის მუშათა კლასმა მოიპოვა. საჭიროა კულტურულ ფრონტზე მუშაობა, სწავლა განათლების საქმის გამაგრება. ამას დიდი ყურადღება აქვს ამ ჟამად მიქცეული საბჭოთა რესპუბლიკებში და ჩვენში და სადაც საქართველოს საბჭოების აღმასკომის მესამე სესიამ კულტურული ფრონტი პირველ ხარისხოვან საქმეთ გამოაცხადა.

განათლების კომისარიატმა უმთავრესი ყურადღება უნდა მიაქციოს სოციალურ აღზრდას და პროფესიონალურ-ტეხნიკურ განათლებას. ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარება უნდა დაუკავშიროს საბჭოთა ხელისუფლებამ სახელმწიფოებრივ მოთხოვნილებებს განათლების დარგში

სოციალური აღზრდა უნდა დადგეს სათანადო ნიადაგზე, რომ პროფტეხნიკური განათლების დაწესებულებებს მისცეს სათანადოთ მომზადებული მოწაფეობა და პროფ-ტეხნიკურ განათლებამ-კი უმაღლეს („ვუზს“) სასწავლებლებს-პროფესიონალურათ და ტეხნიკურათ მომზადებული ახალგაზრდობა.

სწორეთ აქ გვმართებს დიდი სიფრთხილე, რომ უმაღლეს სასწავლებელში მოხვდეს მსმენელების ისეთი კადრი, რომელიც დასრულებისას გამოადგება სახელმწიფოს, როგორც მომზადებული „სპეცები“ და საზოგადო მოღვაწენი.

განათლების დარგში მომუშავეთა ვალია უმაღლეს სასწავლებელს სათანადო სიფრთხილით მოეპყრან, რათა შეუფერებელ ელემენტს—სტუდენტს ადგილი არ ექნეს უნივერსიტეტში. ფაქტია, რომ ასეთი სტუდენტი ცხოველოთ ადგილს იჭერს უნივერსიტეტში ის უბრალო მოლაყბეა, ამხანაგებ შორის დეზორგანიზაციის შემტანი, ის პარაზიტია ამ დარგში.

საუბედუროთ ასეთი სტუდენტები შემთხვევით მოხვდნენ უმაღლეს სასწავლებელში. მაგრამ დღეს, როცა აღმშენებლობით ხანაში ვართ, როცა ყოველივე დარგში ახალ სისტემის და ახალ პირების შეიხებით წარსამედრო მოებს ცხოვრების შენება, აქაც, უმაღლეს სასწავლებლებშიაც, ასეთ ელემენტებს, მომავლისათვის სასახელო ახალგაზრდობას, უნდა ექნეს ადგილი.

ამ მხრივ ფრიად მოსაწონია განათლების კომისარიატის მეთოდი სტუდენტების გაწმენდის გადასინჯვის მხრივ.

სახელმწიფო უნივერსიტეტში და ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტში მოხდა სტუდენტების გაწმენდა და უვარგის ელემენტებისაგან.

ამ წმენდამ გამოარკვია, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტში ითვლებოდა სიის მიხედვით 3.920 სტუდენტი. გამოცხადდა წმენდაზე 3.531 სტუდენტი. მექანიკურათ გამოირიცხა 389. აკადემიურ მიზეზების და არა ბეჯითობის გამო—543 დატოვებულია ამგვარათ პირობით 280 და აღდგენილია სრულ სტუდენტის უფლებებში 2.758 მსმენელი.

ვ. ი. ლენინის სახელობის ინსტიტუტში ირიცხებოდა 3132, გამოცხადდა წმენდაზე 2199, მექანიკურათ გამოირიცხა 933. გამორიცხულია სხვადასხვა მიზეზების გამო 165 დატოვებულია პირობით 16. ამგვარად აღდგენილია სტუდენტის უფლებებში 2.028 სტუდენტი.

ამგვარათ დღეს დარჩენილია უმრავლესობა მაინც. ისეთი სტუდენტებისა, რომლებიც არც ხელმძღვანელებს—პროფესორებს, არც თვით მშობლებს—აღმზრდელებს შეიყვანენ შეცდომაში და არც სახელმწიფოს გაუცრუებენ იმედს.

დღეს რომ კიდევ არიან დარჩენილი გამოუსადეგარი ელემენტები, ჩვენ გვგონია, რომ სტუდენტები ასეთ ამხანაგებს თვითონ გააძევებენ თავის წრიდან.

აქეთკენ უნდა მივაპყროთ აწი ჩვენი ყურადღება.

ყოველ წლიურათ მოვახდინოთ სტუდენტების ასეთი წმენდა, რომ საბოლოოთ ვიყოთ დარწმუნებული ჩვენ მომავალში.

მუშათა სახელმწიფოს ესაჭიროება მხოლოდ შეგნებული შრომის შვილები.

დ. ტ.

რადიო-დეპეშები

ამხ. ლენინის ჯანმრთელობა

(ბიულეტენი № 22).

მოსკოვი. 21 აპრილი. უკანასკნელ 2 დღის განმავლობაში შემჩნეული იყო ტემპერატურის აწევა 37,8°-დე, რამაც გამოიწვია ცოტაოდენი საერთო სისუსტე. მიუხედავად ამისა მეტყველების და მარჯვენა ხელის და ფეხის მოძრაობის სფეროში გაუმჯობესება ეტყობა.

20 აპრილს ტემპერატურა—37—36,8 პულსი—104, სუნთქვა—22.

1923 წ. 20 აპრილი, საღამოს 6 საათი.

პროფესორები: კრამერი, ფიორსტერი, ბუმკე.

პრივატ-დოცენტი: კოჟევნიკოვი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი: სემაშკო.

რურის ოლქის ოკუპაცია

რეინის ოლქის ავტონომია.

ბერლინი. 21 აპრილი. „ბერ ნუველ"-ის ცნობით, საფრანგეთი სდგამს ნაბიჯებს რეინის ოლქის ადმინისტრატიული და ეკონომიური ავტონომიის გატარებისათვის ეს მზადება წარმოადგენს პირველ ნაბიჯს რეინის ოლქის ავტონომიურ რესპუბლიკად გამოცხადებისათვის.

რურის ოლქის უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან

ბერლინი. 20 აპრილი. უმუშევართა მღელვარებამ გამოიწვია მიულგეიმში ახალი სისხლის მღვრელი შეტაკებანი. ფრანგების უმოქმედობის გამო, გერმანიის მთავრობამ თავისი ინიციატივით გამოიყვანა პოლიციის რაზმები, რომლებიც ერეკებოდენ ბრბოს. შეტაკების დროს მოკლულია 8 მუშა და დაჭრილია მრავალი ბურჟუაზიული და სოციალ-დემოკრატიული პრესა ავრცელებს ცნობას, თითქოს მიულგეიმი 4 საათის განმავლობაში იყო წითელი გვარდიის ხელში.

უმუშევრების მღელვარების გამო, რურში შესდგა უმუშევართა წარმომადგენლების სასწრაფო თათბირი. კომუნისტები 21 აპრილისათვის იწვევენ ბრემენში უმუშევართა კონფერენციას.

ინგლისის პოზიცია რურის ოკუპაციის საკითხში

კერზონის სიტყვა.

ლონდონი, 20 აპრილი, ლორდთა პალატაში რურის საკითხის შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა კერზონმა, რომელმაც განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ ჯერ კიდევ იანვარში წარადგინა პარიზის კონფერენციაზე წინადადება სარეპარაციო საკითხის მოგვარების შესახებ. მაგრამ ეს წინადადება უარყოფილ იქნა საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის მიერ ამასთან ერთად საფრანგეთის გეგმა, რომელიც წარმოდგენილი იქნა იანვარში, სავსებით მიუღებელი აღმოჩნდა. რურის ოკუპაციის დაწყებიდანვე ინგლისის მთავრობამ წინადადება მისცა თავის წარმომადგენლებს რეინის ოლქში და სარეპარაციო კომისიაში, რომ მათ თავი შეიკავონ იმ საკითხების განხილვისა და გადაჭრის დროს, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ოკუპაციასთან. **ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას ნეიტრალიტეტი საფრანგეთ-გერმანიის კონფლიქტში.** გერმანია თავის კმაყოფილებას გამოსთქვამდა რურის ოლქში ინგლისის ჯარების ყოფნით.

კერზონმა შემდეგ აღნიშნა, რომ სანამ საფრანგეთ-გერმანიის შორის არ მოხდება დაახლოვება, კონფლიქტში ჩარევის ყოველივე ცდა იქნება უშედეგო, ნაადრევი და საზიანო. კერზონმა აღნიშნა ოკუპაციის უარყოფითი ეკონომიური შედეგები და **ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ საფრანგეთი ვერც კი დაუახლოვდა იმ მიზნებს, რომელსაც ის ისახავდა რურის ოკუპაციით.** გერმანია მტკიცე აღმოჩნდა, მიუხედავად მისი უაღრესად მძიმე მდგომარეობისა. შემდეგ კერზონმა განაცხადა, რომ რურის კონფლიქტის განხილვის გადაცემა ერთა ლიგისათვის სავსებით შეუძლებელია. კერზონს ამაოდ მიაჩნია აგრეთვე ის იმედები, რომელსაც ამყარებენ ამერიკის ჩარევაზე.

იმ მანიფესტის შესახებ, რომელიც გამოუშვა მუშათა პარტიის დელეგაციამ და რომელმაც წინადადება მისცა ინგლისის მთავრობას, რათა მას თავის თავზე კონფლიქტში ჩარევის ინიციატივა, კერზონმა განაცხადა, რომ ინგლისის გეგმის უარყოფის შემდეგ (იანვარში), ასეთი ინიციატივის თავის თავზე მიღება ინგლისის მთავრობას არ შეუძლია. კერზონის სიტყვაში გამოსჭვიოდა პესიმიზმი. არავითარი ახალი წინადადება ინგლისის სახელით მას არ წარმოუდგენია.

ჩესტერის კონცესიის გარშემო

კონცესიის რატიფიკაციის დადასტურება.

ნიუიორკი, 19 აპრილი. ამერიკის მთავრობამ ანგორიდან მიიღო ოფიციალური ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა ყრილობამ რატიფიკაცია უყო ჩესტერის კონცესიას.

საფრანგეთი პროტესტს აცხადებს.

პარიზი. 19 აპრილი. საფრანგეთის მთავრობამ პროტესტით მიმართა შეერთებული შტატების მთავრობასა და ჩესტერის შორის დადებულ ხელშეკრულობის წინააღმდეგ.

შური აღძრათ.

მოსკოვი. 22 აპრილი. გაზეთ „ნიუიორკ უოლდ" იუწყება, რომ ლესლი ურკარტი ამ ჟამათ აწარმოებს მოლაპარაკებას იმ მიზნით, რომ მიიღოს მონაწილეობა ჩესტერის კონცესიაში.

სამოქალაქო ომი ჩინეთში

აძლევენ იარაღს.

მოსკოვი. 22 აპრილი. ამერიკამ და ინგლისმა მიჰყიდეს ჩინეთის გენერლებს ვუ-ბეი-ფუს და ჯან-ძო-ლინს რამდენიმე იენის იარაღი.

იაპონელები ჩაერიენ.

მოსკოვი. 22 აპრილი. უ-ბეი-ფუს ჯარები, რომელნიც ილაშქრებდენ მუკდენზე, შეაჩერეს იაპონელებმა შანხაის და გუიას მახლობლად. უ-ბეი-ფუმ დაიწყო ახალი შეტევა კანტონზე. სიუ-ნია-ცენმა სთხოვა ჯან-ძო-ლინს გაუწიოს მას დახმარება შეიარაღებული ძალებით.

მდგომარეობა გერმანიაში

რეიხსტაგში.

ბერლინი. 20 აპრილი. რეიხსტაგის კომისიაში გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს სოციალ-დემოკრატმა ბრეიტ-შეიდმა მოითხოვა გერმანიის მთავრობისაგან, რათა ეს უკანასკნელი გამოვიდეს განსაზღვრული წინადადებით რეპარაციების შესახებ და აღნიშნა, რომ თუმცა საფრანგეთ-ბელგიის ახალი პროექტი მიუღებელია, მაგრამ არ უნდა ვსთქვათ უარი მის განხილვაზე. ბრეიტ-შეიდმა აღნიშნა, რომ **შესაძლებელია გერმანიისაგან რეინის ოლქის, ჩამოჭრა, და შეეკამათა კომუნისტებს, რომელნიც მოითხოვდენ მუშათა და გლეხთა მთავრობის შედგენის აუცილებლობას.**

ბრეიტ-შეიდის საპასუხოდ გელფერიხმა გაბედულად გაილაშქრა ანტანტის წინადადების წინააღმდეგ და მოითხოვა მთავრობისაგან მეტი აქტივობა ვერსალის ხელშეკრულებისათვის სახელის გატეხის მიზნით.

გელფერიხმა მხარი დაუჭირა აგრეთვე რეიხსბანკის მიერ მარკის კურსის განმტკიცებას, თუნდაც რომ ამისათვის საჭირო იყოს მთელი ოქროს მარაგის დახარჯვა.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ბიუჯეტი მიღებული იქნა კენჭის ყრის გარეშე.

სახალხო მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს სახალხო მეურნეობის მინისტრის ბეკერის მოქმედება გააკრიტიკა სოციალ-დემოკრატმა გერცმა, რომელმაც დაამტკიცა მთავრობის ფინანსიურ პოლიტიკის სრული უმწეობა.

გერცის სიტყვით მარკის კურსის დაცემა უკანასკნელ ხანებში უდრის ბრძოლის გარნაშ. **სოციალ-დემოკრატების სახელით გერცი მოითხოვს და კერძო საკუთრების დაბეგვრას** და დღევანდელი საკრედიტო პოლიტიკაზე უარის თქმას და აგრეთვე ექსპორტზე კანტროლის გაძლიერებას.

თავის საპასუხო სიტყვაში ბეკერმა პროტესტი განაცხადა რურის ხარჯების უადგილო კრიტიკის წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ რეიხსბანკის მოვალეობას შეადგენს უმუშევართათვის და გადასახადებით დატვირთულ მრეწველთათვის რურში დახმარების გაწევა. ამაზე რეიხსბანკი ხარჯავს ასეულ მილიარდ მარკას. გარდა ამისა საჭიროა დახმარება გაუწიოს მუშებს და არ დაუშვათ მათი ქუჩაში გამოსვლა. ბეკერი თავგამოდებით იცავდა ექსპორტის შემცირებას და შეზღუდვას და კანტროლზე სრულიად უარის თქმას და მხარი დაუჭირა ხელფასის სტაბილიზაციას. აღნიშნა, რა რომ საზოგადოება დიდათ არის დაინტერესებული, იმაში, რომ ფასები უცვლელი დარჩეს.

კამათი გრძელდება

ჩეხო-სლოვაკია ემზადება ომისთვის.

ვენა. 18 აპრილი. გაზეთი „ცუკუნფტი" იუწყება, რომ პრაგაში შესდგა თათბირი, რომელზედაც გადაწყდა გერმანიის წინააღმდეგ გალაშქრება. ჩეხო-სლოვაკია ინტენსიურათ ემზადება ომისთვის, ამზადებს ჯარებს, აწყობს მცურავ და ტეხნიკურ ძალებს. ახლო მომავალში ელიან დიდ საარტილერიო მანევრებს. პოლონეთი და სამხრეთ-სლავია აგრეთვე დაჩქარებით ამზადებენ თავიანთ ძალებს.

ჩეხო-სლოვაკიის ბანკების კრახი

პრაგა. 18 აპრილი. კომუნისტებისა და დამოუკიდებელთა მიერ შეტანილი შეკითხვის გამო, ჩეხო სლოვაკიის პარლამენტში იხილავდენ საკითხს ბანკების გაკოტრების შესახებ, რომელიც მოხდა რამოდენიმე ხნის წინეთ. კომუნისტ ბუბლიკმა განაცხადა, რომ კაპიტალისტური პარტიები ბოროტათ იყენებენ ბანკებს სამარცხვინო პოლიტიკურ სპეკულიაციისათვის. ფინანსთა სამინისტრო, ბუბლიკის თქმით, დიდი ხანია მოხერხებულათ მალავდა ბანკების მძიმე მდგომარეობას. ბანკების გაკოტრებამ მოახდინა მძიმე შთაბეჭდილება, როგორც ჩეხია ისე უცხოეთ ფინანსისტებზე აგრარიები მოითხოვენ მთავრობის მხრივ ზომების მიღებას, რომ გაზეთებში დაშვებული არ იქნეს ბანკების არევ-დარევის შესახებ არავითარი ცნობები.

სოც.-დემოკრატები პროლეტარულ რაზმების წინააღმდეგ.

ბერლინი 20 აპრილი. გაერთიანებულმა სოციალ დემოკრატიულმა პარტიამ პლაუენში, ისე როგორც წინეთ—ლეიპციგსა და ხემნიცში, დაითხოვა საერთო პროლეტარულ თვითდაცვის ორგანიზაცია. რათა მის მაგიერ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრებიდან შემდგარი სპეციალური რაზმები დაეწყოს,

იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობა

რომი 19 აპრილი. იტალიის სოციალისტური პარტიის ყრილობაზე მაფფიმ, რომელიც მომხრეა კომუნისტებთან გაერთიანების, კომინტერნის კონგრესზე დელეგაციის უმრავლესობის სახელით განაცხადა, რომ საჭიროა კომუნისტურ პარტიასთან დაუყონებლივ გაერთიანება

დელეგაციის უმცირესობის სახელით გამოვიდა გაერთიანების მოწინააღმდეგე რომიტა, რომელმაც გაილაშქრა კომინტერნის მეოთხე კონგრესის მიერ მიღებული 14 მუხლის წინააღმდეგ.

ყრილობის თავმჯდომარემ ლაძარიმ შემოიტანა კომპრომისული წინადადება—მოეწყოს ფედერაცია ორივე პარტიების რომელსაც უხელმძღვანელებს ორი პარტიის წარმომადგენლების თანასწორ რიცხვიდან შემდგარი კომისია. მაფფი შეუერთდა ლაძარის წინადადებას.

დაისვა ორი წინადადება—ლაძარის და გაერთიანების მოწინააღმდეგის კლასი. ბელას რეზოლიუციამ მიიღო ხმების უმრავლესობა.

პარტიის ახალ კომიტეტში არჩეული არიან ლენი, რომიტა და ბელა. ნენი დაინიშნა პარტიის ცენტრალური ორგანოს „ავანტის" რედაქტორათ.

ახალი დირექციის მოწოდება.

რომი. 20 აპრილი. იტალიის სოციალისტური პარტიის ახალმა დირექციამ მოწოდებით მიმართა მუშებს. დირექცია საჭიროთ სთვლის, რომ მუშებმა ბოლო მოუღოს პარტიის შიგნით პოლემიკას. დირექცია აცხადებს, რომ პარტიის სახელით ლაპარაკი მხოლოდ მას შეუძლია.

ფაშიზმი საფრთხის წინაშე

რომი. 20 აპრილი. იტალიაში მზადდება მთავრობის კრიზისი, პირველი—ფაშისტური გადატრიალების შემდეგ. ეს კრიზისი, ეჭვს გარეშეა, მ ხვილს დასცემს ფაშიზმს კრიზისი გამოიწვია პარტია „პოპოლიარის" ყრილობამ, რომელმაც საჭიროთ აღიარა პროპორციონალური საარჩევნო უფლების დატოვება და მტრულად არის განწყობილი ფაშიზმისადმი. ყრილობამ განაცხადა, რომ ზოგიერთი პირობების დაცვის გარეშე ფაშიზმთან თანამშრომლობა შეუძლებელია.

ყრილობის დადგენილებამ ძლიერ აღაშფოთა ფაშისტები. მინისტრთა საბჭოს მდივანმა ბიანკიმ განაცხადა, რომ ყოველგვარი წინააღმდეგობა ძალით იქნება ჩახშობილი. თუ ფაშიზმი დაემხო, გაიმარჯვებს არა პარლამენტარიზმი, არამედ კომუნიზმი. მუსოლინიც უკმაყოფილოა ყრილობის შედეგებით და განზრახვა აქვს გაუშვას პარლამენტი, დანიშნოს ახალი არჩევნები და ამ არჩევნებზე დაამარცხოს პარტია „პოპოლიარი"

ამერიკის მონაწილეობა რუსეთის გამოფენაზე.

მოსკოვი. 22 აპრილი. ამერიკის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ წინადადება მისცა გამოფენის კომიტეტს შეადგინოს სამარშრუტო მატარებელი ექსპონატებით სრულიად რუსეთის გამოფენისათვის. ექსპონატები წარმოადგენენ ამერიკულ ფაბრიკატების ნიმუშებს, რომელთაც ფართო გასავალი აქვთ სასოფლო მეურნეობაში.

რუსეთი და ევროპა

რუსეთ-შვეციის აქციონერული საზოგადოება.

სტოკჰოლმი. 20 აპრილი რუსეთის კომერციული ბანკის დირექტორმა სტოკჰოლმში დაარსა რუსეთ-შვეციის ვაჭრობის აქციონერული საზოგადოება საზოგადოების მიზანია რუსეთთან ვაჭრობის განვითარება.

ნანსენი რუსეთის შესახებ.

პარიზი. 20 აპრილი გაზეთი „ინფორმაციონი" ათავსებს ნანსენის წერილებს რუსეთის მრეწველობის შესახებ, რომელშიაც ნანსენი აცხადებს რომ მას აკვირვებს ის სიმტკიცე, რომლითაც რუსეთი ახდენს თავისი მრეწველობის რეორგანიზაციას.

რუსეთი და ფინეთი

პატიმრების გადაცვლა.

ჰელსინგფორსი. 20 აპრილი. რუსეთ-ფინეთის შორის პატიმრების გაცვლის საკითხი ახლო მომავალში უნდა გადაიჭრეს ფინეთის სახელმწიფო საბჭოში.

რუსეთის დელეგაციის განცხადება.

ჰელსინგფორსი. 22 აპრილი. რუსეთ-ფინეთის საზღვრის დაცვის კომიტეტის სხდომაზე, რუსეთის დელეგაციამ განაცხადა ზოგიერთ რაიონებში შეიარაღებული თავდასხმის შემთხვევების შესახებ. კომიტეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც წინადადება ეძლევა საკონტროლო კომისიას დაუყონებლივ გამოიძიოს ეს ფაქტი.

სხვადასხვა ამბები

საფრანგეთში

ვალის გადახდის ვადის გაგრძელება.

მოსკოვი. 22 აპრილი. საფრანგეთსა და ინგლისის ბანკებს შორის მოხდა შეთანხმება საფრანგეთის ვალის მორიგი თანხის შეტანის შესახებ, შეტანის ვადა გაგრძელებულია 1 იანვრამდე.

ავსტრია

მწარმოებელთა ლოკაუტი.

ვენა. 20 აპრილი. ფეხსაცმელების დამზადებელ წარმოებათა მეპატრონეების კავშირმა ლოკაუტი გამოუცხადა გაფიცულ მუშებს.

გერმანია

პრუსიის საპყრობილეში.

ბერლინი. 20 აპრილი. საქსონიის მთავრობის წარმომადგენელი იუწყება საქსონიისა და პრუსიის მთავრობებს შორის დასადებ ხელშეკრულების შესახებ კომუნისტ ჰოლცის ბრესლავლის ციხიდან საქსონიის ციხეში გადაყვანის მიზნით.

არის ცნობები, რომ საპყრობილეში ყოფნა ჰოლცს მძიმე ნერვიულ ავადმყოფობით ემუქრება.

ფაშისტების დემონსტრაცია.

ბერლინი. 20 აპრილი. ლეიპციგის უზენაეს ტრიბუნალის ბრძანების გამო ბავარიელ ჟურნალისტის ფაშისტ ეკკარტის დაპატიმრების შესახებ, ფაშისტებმა ლიუდენდორფისა და ჰიტლერის ხელმძღვანელობით პროტესტის დემონსტრაცია გამართეს მიუნხენში პრუსიის საელჩოს წინ. ლეიპციგის ტრიბუნალი ჰიტლერსაც იწვევს პასუხისგებისათვის სასამართლოს წინაშე. მაგრამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ არ სურს ტრიბუნალის ბრძანების ასრულება.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

წითელი ფიცი.

მოსკოვი. 23 აპრილი. რევოლიუციონურმა სამხედრო საბჭომ დაადგინა 1 მაისისათვის ფიცი აილოს იმ წითელ-არმიელებისაგან, რომლებსაც ჯერ არ შეუფიცავთ. მომავლისათვის რევ. სამხედრო საბჭოს განზრახული აქვს ასეთი ფიცის იღება საზეიმო დღესასწაულებს შეუფარდოს.

კურორტები ციმბირში.

ნოვონიკოლაევსკი. 20 აპრილი. პირველი ივნისისათვის ციმბირის კურორტებზე გაიხსნება 1200 საწოლი. ის ავადმყოფები, რომლებსაც პროფორგანიზაციები აგზავნიან კურორტებზე, უფასო მგზავრობის უფლებით სარგებლობენ.

ემზადებიან პირველ მაისისათვის.

კოსტრომა. 20 აპრილი. კოსტრომის გუბერნიის ყველა მაზრებში მოეწყო კომისიები პირველი მაისის დღესასწაულის ჩასატარებლად. ამ დღესასწაულზე ჩატარდება კამპანიები ინვალიდების, რევოლიუციის მებრძოლთა და უდედ-მამო ბავშვების დასახმარებლად.

ჯამაგირების გადიდება.

ომსკი. 20 აპრილი. სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ სამხედრო მოსამსახურეებს აპრილის თვეში წინათვესთან შედარებით ჯამაგირი 22 პროც. გაუდიდა.

წითელ ფლოტს.

მოსკოვი. 22 აპრილი. 15 აპრილისათვის რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის ცენტრალური კომიტეტის საშეფო კომისიის სალაროში წითელი ფლოტის სასარგებლოდ შემოვიდა 1.500.000 მანეთი ადგილებიდან იუწყებიან, რომ წითელი ფლოტის სასარგებლოდ დიდძალი პროდუქტებია შეგროვილი.

საზღვარ-გარეთ მყოფ სამხედრო ვალდებულთა აღრიცხვა.

მოსკოვი. 22 აპრილი. სამხედრო-რევოლიუციონურმა საბჭომ დაადგინა მოახდინოს საზღვარ-გარეთ მყოფ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის სამხედრო-ვალდებულ მოქალაქეთა აღრიცხვა. აღრიცხვაზე აყვანილი იქნებიან თეთრი არმიების ის სამხედრო მოსამსახურეები, რომლებიც თავის დროზე ჩაეწერენ ს. ს. რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში დაბრუნების მსურველთა სიაში.

ცენტრო-კავშირი საჰაერო ფლოტისათვის.

მოსკოვი. 22 აპრილი. ცენტრო-სოიუზმა ყველა სამომხმარებლო კოოპერატივებსა და ერთიან მუშათა კოოპერატივებს მიმართა წინადადებით საჰაერო ფლოტის შექმნაში მონაწილეობის მიღების შესახებ. ცენტრო-სოიუზი ურჩევს მათ შექმნან სპეციალური ფონდები მთელი ჰაეროპლანების ასაშენებლათ.

ახალი მერცხლის მარკები.

მოსკოვი. 22 აპრილი. [illegible] სახალხო კომისარიატი [illegible] ახალი [illegible] ხაზინკო გაცვლით და შემდეგი ღირებულებით: მანეთი, 50 კაპ., 20 კაპ., 15 კაპ. და 10 კაპ.

უკრაინა

ესერების დაშლა.

ოდესა. 20 აპრილი. ოდესის აღმასკომის „უწყებაში" მოთავსებულია ესერების ერთი ჯგუფის წერილი, რომლებიც აცხადებენ, რომ გამოდიან ესერების პარტიიდან, რადგან ეს პარტია ხელს უშლის გლეხებსა და მუშებს თავის კლასობრივ მტრებთან ბრძოლაში.

ბელგიისა და უკრაინის ეკონომიური ურთიერთ დამოკიდებულება.

ხარკოვი. 19 აპრილი. ხარკოვში ჩამოვიდა ბელგიის ერთ-ერთი გამოჩენილ ფინანსისტთაგანი კლერკო, რომლის მიზანია გამორკვევა იმის, თუ რამდენათ შესაძლებელია ბელგიასა და უკრაინის შორის სწორ ეკონომიურ დამოკიდებულებების შექმნა. კლერკოს აქვს რწმუნება ბელგიის 70 უდიდეს სავაჭრო-სამრეწველო ფირმებისაგან, მათ შორის იმ ფირმებისაგანაც, რომლებსაც ხელს უწყობს საფრანგეთის ნაციონალური ბანკი. უკანასკნელი გარემოება საინტერესოა მით, რომ საფრანგეთის კაპიტალი რეალურათ აპირებს უკრაინასთან ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას.

გერმანიის პედაგოგები უკრაინაში.

კიევი. 20 აპრილი კიევში ჩამოვიდა ცნობილი გერმანელი პედაგოგი გუსტავ გეინე, რათა ინფორმაცია მიაწოდოს დასავლეთის პრესას საბჭოთა რესპუბლიკებში სახალხო განათლების მდგომარეობის შესახებ. ფაბრიკა-ქარხნების შეგირდთა სკოლებში სწავლების საქმის დაყენებამ კარგი შთაბეჭდილობა მოახდინა გეინეზე.

ინგლისთან რეგულიარულ რეისების განახლება.

ოდესა. 19 აპრილი. ინგლისის ერთ-ერთ მსხვილ საგემო სააგენტოს წარმომადგენელი გაემგზავრა მოსკოვში, მოსალაპარაკებლად შავი ზღვის ნავთსადგურების და ინგლისის შუა რეგულიარულ რეისების ორგანიზაციის შესახებ.

ცენტრო-კავშირის მიწვევა ინგლისის კოოპერატივების ყრილობაზე.

მოსკოვი. 20 აპრილი. ცენტრო-სოიუზი მიწვეულია ინგლისის კოოპერატივთა ყრილობაზე ედინბურგში. ყრილობა დანიშნულია 19 მაისისათვის. ცენტრო-სოიუზის წარმომადგენლი დაესწრება აგრეთვე საფრანგეთის კოოპერაციის ყრილობას, რომელიც შესდგება ბორდოში 10 მაისს.

„უწმინდესი" კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ

ჰკიცხავენ ტიხონს

რიაზანი 20 აპრილი. სამღვდელოების საგუბერნიო ყრილობამ ტიხონის გასამართლების გამო გამოიტანა რეზოლიუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ყოფილი პატრიარქი გარკვეულათ კონტრ-რევოლიუციონურ გზას ატარებდა და დიდი ზიანი მოჰქონდა ეკლესიისათვის. ყრილობის აზრით ტიხონი ღირსია უსასტიკესი დასჯის. ეკლესია, როგორც ყოველი კერძო მოქალაქე, დახმარებას უნდა უწევდეს საბჭოთა ხელისუფლებას.

ტიხონი—კონტრ-რევოლიუციის ბელადია.

მოსკოვი. 22 აპრილი. „როსტა"-ს კორესპონდენტთან საუბარში სინოდის ყოფილმა ობერ პროკურორმა ლვოვმა განაცხადა, რომ ტიხონი იდეიური ბელადია რუსეთის რეაქციის და, კერძოთ, ემიგრანტულ რეაქციისა. როგორც ასეთს, მას უეჭველათ უნდა ჰქონებოდა კავშირი კონტრ-რევოლიუციის მოღვაწეებთან. თვით პატრიარქობის ინსტიტუტი შექმნილი იყო რეაქციის მიერ, როგორც უკანასკნელის გამაერთიანებელი და იდეიურათ ხელმძღვანელი ორგანო. ტიხონის დაპატიმრება პოლიტიკურათ აუცილებელი იყო, რადგან საბჭოთა ხელის უფლებას არ შეეძლო მოეთმინა თავის დედა-ქალაქში კონტრ-რევოლიუციის ბელადის მუშაობა. ტიხონის პროცესს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, როგორც კონტრ-რევოლიუციის უმაღლეს ინსტანციის საბოლოვო გამტყუნებას. როგორათაც არ შეეცადონ კონტრ-რევოლიუციონურმა წრეებმა ამ ინსტანციის აღორძინება, ისინი ვერ შესძლებენ ამას, რადგან ემიგრაციის მიერ შექმნილი იდეიურ ბელადებს არ ექნება ძალა და მნიშვნელობა თვით ემიგრაციის წრეებშიაც.

ოქტომბრის ზარის გუგუნი საქართველოს სოფლებში *)

შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ საქართველოში ბატონ-ყმური წყობილება თავის უმთავრეს თვისებებით დარჩა 1912 წლამდე. მხოლოდ იმ წლიდან მოისპო თავის დასახსნილი გადასახადების შეტანა ხაზინაში 1861 წლის რეფორმით ბატონ-ყმობისაგან „განთავისუფლებულ" გლეხობის მიერ.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ მეორე რევოლიუციის დროს ბატონ-ყმურ წყობილების ნაშთებს კიდევ მაგრად ჰქონდა გადგმული ფესვები საქართველოს სინამდვილეში. ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებდა ადგილობრივი პირობები.

ასე რომ მიწის საკითხის გადაჭრა საქართველოში აუცილებელი იყო არა მხოლოდ იმისათვის, რომ განვითარებულიყო სასოფლო მეურნეობა, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი მშრომელი ხალხი გადარჩენოდა სრულ განადგურებას და გადაგვარებას. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოში ასეთი პირობები იყო.

1) ზედმეტი მოსახლეობა სოფელში—საქართველოს მოსახლეობის 80 პროც. მეტი სასოფლო მეურნეობით ირჩენს თავს.

2) მთელ იმ სივრციდან, რომელიც უკავია საქართველოს, (6 მილ. დესეტინა) გლეხების ხელში მხოლოდ ცამეტი პროცენტი მუშავდებოდა.

მაშინ, როცა რუსეთში თითო სულზე მოდის 2,5 დესეტინა მიწა, საქართველოში თითო სულზე მოდის 0,58 დესეტინა (აღმოსავლეთ საქართველოში) და 0,34 დესეტინა (დასავლეთ საქართველოში).

3) ნიადაგი არ არის ნაყოფიერი და მისი დამუშავება ხდება პირველყოფილი საშუალებებით.

4) თავად-აზნაურობა თავის მიწას მოკლე ვადით აძლევდა იჯარით. მიწის წესიერათ მოვლაზე არავინ ფიქრობდა.

5) მიწაზე დაწესებული იყო მეტად დიდი ღალა გლეხს მთელ მოსავლიდან მეოთხედი ან ნახევარი მემამულისათვის უნდა მიეცა. ფულზე ეს უდრის 9 მანეთს ოქროთი, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე მეფის რუსეთში იყო.

6) ქართველ ხალხს ერთი სამწუხარო უპირატესობაც არგუნა ბედმა—არსად არ ყოფილა თავად-აზნაურობა ისე მრავალრიცხოვანი, როგორც აქ.

7) სულ 1917 წლის აღწერის მიხედვით საქართველოში იყო 317.645 კომლი გლეხი. აქედან 5 პროც. სრულიად არ ჰქონდა მიწა. დიდ უმრავლესობას ისე ცოტა მიწა ჰქონდა, რომ ზედ კაცის მობრუნებაც შეუძლებელი იყო. მაგრამ, ვისაც მიწა ჰქონდა, მას საქონელი არ ჰყავდა.

ისეთ პირობებში, როცა საქართველოში არ იყო განვითარებული ვაჭრობა - მრეწველობა საქართველოს ბურჟუაზია კი ვერ იჩენდა ვერავითარ კლასობრივ ექვივალენტს, ბატონ-ყმური ნაშთები კი სულს უხუთავდა ქართველ გლეხობას, ცხადია 1917 წლის რევოლიუციის დროს უეჭველად უნდა წამოჭრილიყო საკითხი ამ ნაშთების მოსპობის შესახებ. ამით წინდაწინვე განსაზღვრული იყო აგრარული რეფორმის მიზანი, შინაარსი და მეთოდები პატარა ქვეყანაში, სადაც გლეხობას ჰქონდა მხოლოდ 400 000 დესეტინა მიწა იმ დროს, როცა თავად-მემამულეების სრულ განკარგულებაში იყო 1 ნახ. მილიონი დესეტინა.

ქართველმა მენშევიკებმა, რომლებიც გაბატონდნენ ჯერ მუშურ-გლეხურ რუსეთიდან მოწყვეტილ ამიერკავკასიაში და შემდეგ კი „დამოუკიდებელ" საქართველოში, არ გასცეს ხმა ისტორიის ძახილს. სიახლითა და მახვილით იცავდენ ისინი რევოლიუციონურ გლეხობიდან მემამულეების უპირატესობას. მათი მიზანი იყო თანდათანობით შეეპარებიათ სოფელში ბურჟუაზიული ურთიერთობა

მაგრამ მათი ჩხირკედელაობა მალე გათავდა.

იმ ბურჟუაზიულ სულისკვეთებას, რომელიც გამოსჭვიოდა მათ მიერ მიწის საკითხის გადაწყვეტაში, ბოლო მოუღო მათ დემოკრატიულ დოვლათთან ერთად.

საბჭოთა ხელისუფლების დეკრეტი, რომელიც გამოიცა მიწის შესახებ (6 აპრილს 1921 წ.) სწორ პრინციპიალურ საფუძველზეა დამყარებული: ის აკმაყოფილებს მშრომელ გლეხობის საუკუნეობრივ მოთხოვნილებას და ამავ დროს ანგარიშს უწევს იმ პირობებს, რომლებიც საჭირო არიან საქართველოს ჩამორჩენილი, პირველყოფილი მეურნეობის განვითარებისათვის. გლეხობამ „თავი შეიკავა" მას არ მოუხდენია „თვითნებობითი" გამოსვლა: მართლაც, მის შეგნებაში საბჭოთა ხელისუფლება დაკავშირებული იყო ერთ უეჭველ წარმოდგენაზე, რომ მიწის საკითხს საბჭოთა ხელისუფლება სწორედ მის სასარგებლოდ გადასწყვეტდა.

მაგრამ დეკრეტის შემდეგ მოყოლებულმა საქმიანობამ დაამტკიცა თქმა, რომ ფუჭია დეკრეტების წერა, თუ ის არ შესრულდება.

საბჭოთა კანონის აღმასრულებლებმა ვერ შეასრულეს მათზე დაკისრებული მძიმე მოვალეობა.

მიწის პოლიტიკის განყოფილებამ და საგანგებო მიწის კომისიამ, საქართველოს მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის ამ ორმა ორგანომ, ვერ გაართვა თავი მიწის საკითხს.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა მიწის საკითხის გადაწყვეტის მთელი საქმე მოექცია ცენტრში იმ აზრით, რომ მისი ორგანოების გარეშე ამ დარგში არაფერი არ უნდა გაკეთებულიყო.

ამის შემდეგ იყო ის, რომ გლეხების კომიტეტების რევოლიუციონური თაოსნობა შეიბოჭა, ცენტრმა კი ასე გაიგო თავისი მიზანი: მას უნდოდა განესაზღვრა მიწის ფონდი სპეციალისტ მიწის მზომელების საშუალებით, აღერიცხა სოფლის მცხოვრებლები, შემდეგ გამოემუშავებია საშუალო ზომა თითო სულზე და დასასრულ მიწის მომწყობ ტეხნიკის საშუალებით უნდა ჩაებარებია გლეხისთვის პირადათ მისთვის მიზომილი ნაჭერი მიწა.

როგორც ვხედავთ სურდათ არ დაეშორებიათ აგრარული რეფორმის ფაქტიური ეტაპი იურიდიულისაგან. რევოლიუციონური წყურვილის მოკვლა სურდათ მთელი საქართველოს მიწის მზომელების მიერ შენიშვნების და სიმტკიცის ქაღალდების შედგენის შემდეგ.

აშკარაა, რომ ამ წესით ამ საკითხის მოგვარებისათვის, როგორც ეს ჩვენ მიწად მოქმედების კომისარიატს ჰქონდა განზრახული, საჭირო იყო მრავალი წლები.

მიწად-მოქმედების ცენტრალურ ორგანოების გაყინული და სასიკვდილო სუნთქვა ჰკლავდა ადგილების თაოსნობას და მათ აღტაცებას. ამავე ორგანოების „პოზიციური" მუშაობა კი სოფელში თანდათანობით აწესებდა იმავე მდგომარეობას, როგორიც მეფის დროს იყო და მენშევიკების დროსაც უცვლელად დარჩა.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატიდან გამოსულ პოლიტიკოსების ცირკულიარული შემოქმედება თანდათანობით უადვილებდა თავადმემამულეებს დაბრუნებოდენ თავის მამულებს.

მაგალითად № მე-4 ცირკულიარის თანახმად, იმ მიწადმფლობელებს, რომლებიც დაუბრუნდებოდენ თავის მამულს 1921 წ. 15 ივლისამდე და მოისურვებდენ მუშაობას, უფლება ეძლეოდათ მიეღოთ მიწის შესაფერი რაოდენობა თავის მამულში.

აი, სწორედ ამ ფართო ხვრელით გაძვრენ უკანვე თავის მამულებში ყველა მემამულეები, მევახშეები და ყოვლგვარი ნაძირალები; რომელნიც გაყვენ მენშევიკებს, გადამალულნი იყვენ თავის თავის ნაცნობებში ან ნათესავებში.

ისინი დაბრუნდენ და შეუდგენ თავინთ „მამა-პაპეულ" მამულებში ძველებურ „საქმიანობას". ეს კი არც ისე ძნელი იყო. მაგალითად ცირკულიარით № 6 ძვირფასი მცენარეულობა, თუ ის ნორმას აღემატებოდა, უნდა დაყოფილიყო. ძვირფასი მცენარეულობა საქართველოში ეს არის ვენახი, ხილის ბაღები, თამბაქოს პლანტაციები ცირკულიარის თანახმად მემამულე თავადს უფლება ჰქონდა დაეტოვებია თავისთვის არა მარტო ნორმა, არამედ ძვირფასი მცენარეების მთელი სივრცე, ე. ი. მთელი თავისი მამული.

მემამულეებმა გამოიყენეს ცირკულიარის მახინჯი გაგებით და იღებდენ ღალას არა მარტო მათთვის დატოვებულ ნორმიდან, არამედ ჩამორთმეული მიწებიდანაც. „რევოლიუციონური მართლმსაჯულების" საფუძველზე ქ. ხაშურის სახალხო მოსამართლემ მიუსაჯა მემამულე ვეზიროვს გლეხებისაგან ღალის მიღება არა მარტო საბჭოთა 1921 წლის განმავლობაში, არამედ უკანა რიცხვით 1918-20 მენშევიკების ბატონობის წლებშიც.

საბჭოთა საქართველოს მთავრობამ თავდაპირველათ დაუტოვა მიწის ნორმა სახელმწიფოს ღირსშესანიშნავ წარმოებათა მუშებს, მაგალითად რკინისგზელებს.

შემდეგ ეს შეღავათი მიეცა აგრეთვე ყველა საბჭოთა მოსამსახურეს. რადგან საბჭოთა დაწესებულებებში, ქალაქებში იღწვის მემამულეთა არა ერთი და ორი ათასი შვილი, ამიტომ მიწის ისედაც ღარიბი ფონდიდან გლეხებს აღარაფერი დარჩა.

მიწად-მოქმედების კომისარიატიდან კი ამ დროს იგზავნებოდა და იგზავნებოდა ახირებული განმარტებანი.

აი ერთი ნიმუში აგრარულ რევოლიუციის ძველ შემოქმედებისა საქართველოში:

„შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს. მიუხედავათ იმისა, რომ ადგილობრივ ორგანოებს არა ერთხელ და ორჯერ გაეგზავნათ მოწერილობა არ ჩარეოდენ მიწის მოგვარების იმ საკითხში, ვიდრე ამის შესახებ ამ მიიღებენ განკარგულებას მიწად მოქმედების კომისარიატიდან,—გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის განყოფილებამ დაინტერესებულ ტუტულაშვილის თხოვნის თანახმათ აღწერა მოქ. უხურგუნაშვილის ვენახი და წისქვილი, მოსავალის აკრება კი აუკრძალეს მეპატრონეს. ამის გამო გთხოვთ გააუქმოთ გორის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის ზემოთ აღნიშნული განკარგულება".

ახლა არ იკითხავთ, ვინ არის ეს უხურგუნაშვილი? ის გახლავთ მსხვილი მემამულე და მევახშე, რომელმაც თავი მოისაწყლა და თხოვნით მიმართა თბილისში მიწის კომისიის თავმჯდომარეს.

ამ კომისიის დადგენილების თანახმად, გორის მაზრის მილიციის უფროსს მოუვიდა მიწადმოქმედების გორის განყოფილებისაგან მოწერილობა:

„შეატყობინეთ ტუტულაშვილს და უხურგუნაშვილს, რომ გამოძიების შემდეგ მათი დავა მოსპობილია და ძალაში რჩება სასამართლოს ძველი დადგენილება ამ საქმეზე".

ძალაში დარჩა თვითმპყრობელობის დროის სასამართლოს დადგენილება არა მარტო ამ საქმეზე.

ასეთი სკანდალური საქმე არა ერთი და ორი მოხდა და ბოლოს ღრმად ჩააფიქრა ყველა მუშაკები მიწის რეფორმის ბედის შესახებ;

როდის დამთავრდება და რა სახეს მიიღებს ის?

ეს გარემოება მეტად აღელვებდა სამაზრო მუშაკებს, ისინი ხედავენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მესამე წლის თავზე არ თავდებოდა უთავბოლო საქმიანობა.

ამავე დროს მათ არ შეეძლოთ არ შეემჩნიათ, რომ გლეხებს თანდათან უცრუვდებოდათ გული მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე, რომლის არსებობის დროს კიდევ დარჩენ ძველი მემამულეები თავიანთ სასახლეებში და განაგრძობენ გლეხების დაჩაგვრას და განცხრომა-ფუფუნებით ცხოვრებას

პარტიის გამწმენდმა კომისიამ გორის მაზრაში აღმოაჩინა, რომ სოფლის კომუჯრედის ერთი მდივანი კვლავ განაგრძობდა მემამულე თავადთან სამსახურს: არ ჰქონდა საკუთარი მიწა და ლოცვა კურთხევას უგზავნიდა ბატონს, რომლის წყალობითაც ის ცოცხალი და მაძღარი იყო.

თითქოს შეურაცხმყოფელი სილა გააწნა ვიღაცამ სამაზრო მუშაკებს; მათ მოსთხოვეს ცენტრალურ საბჭოთა და პარტიულ მთავრობას ამოქმედებულიყვენ.

გასულ წლის 25—26 ნოემბერს გაიმართა ადგილობრივ მომუშავეთა თათბირი მიწის საკითხის შესახებ. ამ თათბირზე გამოირკვა უნუგეშო მდგომარეობა მაზრებში, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, რომელიც ყოველთვის მსხვილ მემამულეების ბუდე იყო. თათბირის წევრები ერთხმად აღიარებდენ, რომ თავად აზნაურები განაგრძობენ ძველ განცხრომით ცხოვრებას, გარეთ ჰყრიან თავიანთ სასახლეებიდან საბჭოთა დაწესებულებებს და ახალგაზრდა კომუნისტების კომიტეტებს და ისევ თვით ბინავდებიან შიგ. მემამულეები აჩქარებენ და აკეთებენ ცენტრში საქმეებს და მით ისევ იბრუნებენ ვენახებს და ბაღებს, ისინი თვითონ არ მუშაობენ და ყოველივე საშუალებას ხმარობენ გამოიყენონ გლეხების შრომა, აძლევენ მას საიჯაროთ მიწას და სხვა.

თათბირის წევრები ერთხმად ამტკიცებენ, რომ თუ მიწის რეფორმის გატარება გაგრძელდა ამავე წესით, მაშინ ის არ დამთავრდება არც ეხლა და, შეიძლება, არც 15 წლის განმავლობაში.

მართლაც, გამოირკვა, რომ თურმე არც ერთ მაზრაში არ მოთავებულა მუშაობა და მხოლოდ რამოდენიმე ათეულ სოფელში მოეხდინათ მიწის მოსაწყობი მუშაობა. სხვა ასეულებს კი წლობით უნდა ეცადათ მიწის მზომველების ჩამოსვლისათვის და საჭირო ხანგრძლივი მუშაობის დამთავრებისათვის.

ამავე დროს სოფლებში კვლა ბრუნდებოდენ ძველი მემამულეები:

თავად აზნაურების ყოფილ წინამძღოლს მეფის გენერალს აბხაზს დაუბრუნეს მისი მამული კახეთში.

ბორჩალოში ყველის დამამზადებელ ქარხნის პატრონი ბარონ კ[illegible] იჯარით აძლევს ქარხანას საქართველოს მთლიან მუშათა კოოპერატივს.

მემამულე ზუბმანის ეზოში, გორის მაზრაში ხელუხლებლად აწყვია რკინის გზის მასალები, ევროპაში გაქცეულ ეროვნულ დემოკრატ ნიკოლაძის მამული და სახლი ხელუხლებლად რჩება მიუხედავად იმისა, რომ სახლში არავინ არ ცხოვრობს, მოსამსახურეების გარდა, დიდ სოფელს კი, სადაც მოთავსებულია ამ კონტრ-რევოლიუციონერის მამული, არ აქვს შენობა კლუბისა და სხვა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათათვის და ასე სხვაგანაც.

თათბირმა აუცილებელ საჭიროებათ აღიარა მიწის რეფორმის ფაქტიური ნახევარის დაუყონებლივ დასრულება, მოსპობა ყველა იმ დაბრკოლებების, რომლის წყარო იყო მიწად-მოქმედების კომისარიატი. ამისათვის საჭირო იყო მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის გადახალისება და ადგილობრივ გლეხთა კომიტეტებისათვის მეტი უფლებების მინიჭება რევოლიუციონურ კანონების ფარგლებში წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო რომ გლეხობას გული გაუცრუვდებოდა საბჭოთა ხელისუფლებაზე და შეუკავებლად, თავის ნებით გამოვიდოდა მემამულეების წინააღმდეგ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრ-

---

*) მოსკოვის „პრავდა", 15 აპრ.

პროფინტერნში

მდგომარეობა პოლონეთში

ალმასრულებელ ბიუროს სხდომაზე მოსმენილი იყო მოხსენება პოლონეთის მრავალ საფაბრიკო—საქარხნო რაიონებში საავათმყოფო კასების მომავალ არჩევნების შესახებ.

ბურჟუაზიისა და პოლონეთის სოციალისტთა პარტიის ტერორმა მეტათ გააძლიერა მუშათა წრეებში არჩევნებისადმი აბსენტეიზმი, რაც გამოჩნდა ვარშავაში არჩევნების დროს, რომელსაც დაესწრო ამომრჩეველთა მხოლოთ 20 პროც. პოლონეთის ბურჟუაზია ცდილობს გადააქციოს საავათმყოფო კასები პროფესიონალურ კავშირებთან ბრძოლის სიმაგრეებათ და გადასცეს მას პროფესიონალურ კავშირის უმთავრესი ფუნქციები. მთავრობის პოლიტიკის შედეგათ, საავათმყოფო კასებს იპყრობენ „ნაროდოპრავცებისა“ და ქრისტიანულ სოციალისტების და გვარი აშკარა რეაქციონერები და ამ გარემოებამ პოლონეთის სოციალისტთა პარტია აიძულა დათანხმებულიყო კომუნისტებთან ბლოკზე.

უახლოეს მომავალში არჩევნები გაიმართება დომბროვის ნახშირის ბასეინში, ლოძში და სხვა ინდუსტრიალურ ცენტრებში. ამის გამო პოლონეთის კომუნისტურ წრეებში და პროფინტერნის მომხრეთა შორის ძალიან მწვავედ დგას საკითხი საარჩევნო ტაქტიკის შესახებ.

არის ძლიერი მიმდინარეობა, რომელიც მოითხოვს ბლოკს პოლონეთის სოციალისტთა პარტიასთან საავათმყოფო კასების დამქირავებელთა და მათ მოსამსახურეების ხელში ჩავარდნის ასაცილებლათ. ამ ბლოკს შეუძლია შეასუსტოს არჩევნების დროს მთავრობის ტერორი და შეამციროს მუშათა მასების აბსენტეიზმი არჩევნებისადმი.

აზრთა ცოცხალი გაცვლა-გამოცვლის შედეგათ ამ საკითხის გამო მიღებულია ამხ. ლოზოვსკის წინადადება, რომლის თანახმათ საკითხი საავადმყოფო კასების არჩევნების შესახებ, პროფინტერნისა და კომინტერნის მომხრეთა საერთო ტაქტიკასთან მისი კავშირის გამო, გადატანილია კომინტერნისა და პროფინტერნის მოქმედების კომიტეტის უახლოეს სხდომაზე.

გერმანიის ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა უნიონის შესახებ.

შემდეგ განხილული იყო საკითხი პროფინტერნის მომხრე ფიზიკურ და გონებრივ შრომის მუშაკთა გერმანიის უნიონის შესახებ. უნიონის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ სავსებით ვერ გადაეჩვიენ ძველ სინდიკალისტურ შეხედულებებსა და ჩვეულებებს, ორგანიზაციული კორექტივები, რომლებიც შეიტანა უნიონში პროფინტერნის მეორე კონგრესმა ჯერ კიდევ არ არიან გატარებული ცხოვრებაში.

ალმასრულებელმა ბიურომ წინადადება მისცა უნიონს უახლოეს ვადაში დაამუშავოს ის ცვლილებები, რომელთა უნიონის წესდებაში შეტანა კომიტეტს განზრახული აქვს უნიონის უახლოეს ყრილობაზე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

იაპონიის შრომის საყოველთაო ფედერაციის წერილი.

ქ. ტოკიო

ძვირფასო ამხანაგებო!

იაპონიის მუშათა მოძრაობის ისტორიაში ჯერ არასდროს არ იდგენ მუშები ისეთ ძლიერ მუქარის წინ ბურჟუაზიულ კლასის მხრით როგორც ეხლა. არასოდეს არ ვმდგარვართ ჩვენ უფრო გააფთრებულ ბრძოლის წინ. გენერალი კატოს მთავრობა ემზადება საიდუმლოთ გამომუშავებულ 3 ახალ კლასობრივ კანონების გატარებისათვის, რომლებიც დადასტურებულ უნდა იქნან ახალი პარლამენტის მიერ, სადაც მუშებს არც ერთი ხმა არ აქვთ.

პირველი კანონია—„კანონი ტრედ-იუნიონების შესახებ“. მისი მიზანი ნათელია—მებრძოლი მუშათა ორგანიზაციების ყოველივე სანახაობის განადგურება და კაპიტალისტურ წესწყობილების დამცველ ციხე-სიმაგრეებათ მათი გადაქცევა.

მეორე კანონია—„კანონი წვრილ მესაკუთრეთა მოთხოვნილებების დაცვის შესახებ“, რომლის მიზანს წარმოადგენს ღარიბ გლეხობის გაუმაძღარ მიწათმფლობელთა ანაზარათ დატოვება.

მესამე და ყველაზე უფრო რეპრესიული კანონია—„კანონი ანტი-რადიკალურ სოციალისტურ მოძრაობის შესახებ“. უნდა ითქვას, რომ ამ კანონს მიზნათ აქვს მოსწყვიტოს მუშათა მოძრაობა მის აქტიურ მუშაკებს და გათიშოს იაპონიის პროლეტარიატი—დანარჩენ ქვეყნების პროლეტარიატისაგან.

ჩვენ, იაპონიის უნიონისტებმა გადავწყვიტეთ ბოლომდე ვიბრძოლოთ მმართველ კლასის ამ გააფთრებულ თავდასხმის წინააღმდეგ. ჩვენ შევქმენით მძლავრი გაერთიანებული ფრონტი და დავაარსეთ „ტრედ-იუნიონების (მუშათა კავშირების) შეერთებულ-კომიტეტი“, რომელიც შეიცავს მთელი ქვეყნის 30 აქტიურ კავშირს.

მეგობრებო მუშებო და ამხანაგებო ყველა ქვეყნისა;

თქვენ დახმარება უნდა გაუწიოთ თქვენს მებრძოლ იაპონელ ძმებს, რათა ისინი არ დაეცენ სისხლის მსმელ ბურჟუაზიის მსხვერპლათ.

ჩვენთან ერთად აღსდექით ჩვენს საერთო მტრებთან საბრძოლველათ!

ძირს თეთრი ტერორი!

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ სოლიდარობას!

იაპონიის შრომის საყოველთაო ფედერაციის მდივანი ქ. მატსუოკა.

(„ინპრეკორ“ № 29)

სხვადასხვა ცნობები

ვერსალის ხელშეკრულების ღირებულება.

გაზ. „ფრანკფურტერ ცაიტუნგს“ მოჰყავს ოფიციალური ცნობები იმის შესახებ, თუ რა დაუჯდა გერმანიას ვერსალის ხელშეკრულება. 1918 წლის 11 ნოემბრიდან 1922 წლის 30 სექტემბრამდე გერმანიამ დაჰკარგა და გადაიხადა შემდეგი თანხები:

1. სახელმწიფო ქონება, ჩამორთმეულ ოლქებში, იძულებითი გაყიდვა სხვა და სხვა აქციების და უფლებების მთელს მსოფლიოში და სხვ.—29,394,000,000 ოქროს მარკის რაოდენობით.

2. რკინიგზის მოძრავი შემადგენლობა და მასალები, ფლოტი, ნაწარმი, პირუტყვები, ქიმიური პრეპარატები და სხვ., რომლებიც ჩამოერთვა გერმანიას დროებითი ზავის ჩამოგდების დროს:

11,113,000,000 ოქროს მარკ.

3. ნაღდი გადასახადი: 2,140,000,000 ოქრ. მარკ.

4. სხვა და სხვა გადასახადები და სამუშაო; 3.371,000,000 ოქრ. მარკ.

5. შინაური ხარჯები და ზარალი: 10,482,000,000.

რაც შეადგენს სულ 56,500,000,000 ოქროს მარკას.

ცენტროკავშირის საგარეო ვაჭრობა.

ცენტროკავშირის საიმპორტო ოპერაციები 1922 წლიდან 1923 წლის დასაწყისამდე ხასიათდება შემოტანილი საქონლის საერთო ღირებულებით, რაც უდრის 6,475 ათ. მან. ოქროთი.

რუსეთში შემოტანილი საქონლის ღირებულების მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს ინგლისს (80,9 პროც.), შემდეგ გერმანიას (14,5 პროც.); შემდეგ მათ მიჰყვებიან შეერთებული შტატები, ლატვია და ესტონეთი. მთავარი კანტორის მიერ ამ საქონლის შემოტანის მიუხედავად, ცენტროკავშირმა გაგზავნა კოოპერაციის პროვინციალური მოთხოვნილებებისათვის საქონელი 2,011 ათ. მან. (ოქროთი) რაოდენობით. ტვირთების უფრო მეტი რიცხვი მიღებულია ივნის—სექტემბრის პერიოდში.

პირველი მოთხოვნილების საგნები შეადგენენ ცენტროკავშირის იმპორტის 47 პროცენტს, სამანუფაქტურო—საგალანტერიო საქონელი იძლევა 37,3 პროცენტს. ტეხნიკური მასალები შემოტანილია 926 ათ. მან. (ოქროთი) ღირებულებით.. რაც შეადგენს მთელი იმპორტის 14,3 პროცენტს. სასოფლო—სამეურნეო მანქანები და იარაღები შემოტანილია ცენტროკავშირის მიერ 92 ათ. მან. (ოქროთი) ღირებულებით.

ცენტროკავშირის საექსპორტო ოპერაციები 1922 წლის განმავლობაში ფასდება 12,516,000 მან ოქროთი.

1923 წლისათვის ცენტროკავშირს განზრახული აქვს გაზიდოს ხე-ტყის მასალები სამკურნალო ნედლი მასალები და ძონძეულობა.

ლურ კომიტეტს და საბჭოთა უმაღლეს ორგანოებს არ შეეძლოთ არ გაეთვალისწინებიათ სოფლათ შექმნილი საშიში მდგომარეობა. საბჭოთა წესით მიღებულ იქნა ზომები, რომელიც მიმართული იყო მიწის საკითხის მოსაწესრიგებლად. ცენტრალურ ალმასრულებელმა კომიტეტმა გამოაქვეყნა სათანადო კანონმდებლობა და ახლად შექმნილ გლეხების კომიტეტების დასახმარებლად გააგზავნა ქალაქებიდან გამოცდილი მომუშავენი. გადაწყვეტილი იყო მარტის 15-მდე მიწის რეფორმის დამთავრება.

გამაცოცხლებელ ქარიშხალათ მოევლინა გლეხობას ცნობა ფეოდალური ნაშთების ლიკვიდაციის საქმეში მტკიცე კურსის მიღების შესახებ.

— აი, მხოლოდ ეხლა მოვიდა ჩვენთან ნამდვილი საბჭოთა ხელისუფლება,—ამბობდენ ყველგან გლეხები.

ისინი მუსიკით და ზეიმით ხვდებოდენ სოფლებში საგანგებო მიწის სამეულებს, რომლებიც ხელმძღვანელობდენ მიწად-მოქმედების განყოფილებებისა და გლეხების კომიტეტების მუშაობას. მიწის რეფორმის გატარების მუშაობამ მიიღო ფართე პოლიტიკურ აგიტაციის ხასიათი მემამულეებისა და მათ დამცველ მენშევიკების წინააღმდეგ.

ჯერ კიდევ არა გვაქვს სწორი და საბოლოო ცნობა გლეხების პირველ შეტევის შესახებ მემამულეებზე, მაგრამ წინასწარი ცნობებიც ნათლად გვიჩვენებენ, რომ ამან მოგვცა დიდი ნივთიერი და პოლიტიკური გამარჯვება.

შორაპნის მაზრაში, რომელშიაც მიწა ყველაზე ნაკლებია, 9 მარტამდე ჩამორთმეული იყო 4 ათასი დესეტინა მიწა, 50 თავადის სასახლე და 30 წისქვილი.

სენაკის მაზრაში, სადაც გლეხები თავის ნებით ართმევდენ მიწას, კიდევ ყოფილა დარჩენილი 5,100 დესეტინა მიწა, 6 სასახლე და 4 წისქვილი.

გორის მაზრაში ჩამორთმეული 26 ათასი დესეტინა მიწა და ასე სხვა მაზრებშიც.

საერთოთ საქართველოს მიწის ფონდს მიემატება არა ნაკლებ 100—120 ათასი დესეტინა მიწა. გლეხთა საბჭოების განკარგულებაში გადავა არა ნაკლებ 150 სასახლისა და დიდ სახლებისა, სკოლებისა, საავადმყოფოებისა და კლუბებისათვის,—და 100—150 დიდი წისქვილი.

და ეს მოხდა ისე, რომ არ მომხდარა არავითარი შეტაკება.

აზნაურებს ართმევენ ყველაფერს და დევნიან სოფლებიდან, ხოლო ვისაც შეუძლია მუშაობა (ასეთები კი ცოტა არიან) აძლევენ ნორმას და ბინის ნაწილს.

აზნაურების მამულების მოწყობილობა აღრიცხულია და ეძლევა სოფლს საზოგადო სახმარებლად. ვენახი და ბაღები ეძლევა დასამუშავებლად მხოლოდ ამხანაგობას.

ათეულ წლების განმავლობაში გლეხები მუშაობდენ ამ მამულებში და, რა თქმა უნდა, არასოდეს არ გააფუჭებენ მათ, მით უმეტეს იმის შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობა შეუდგება სწორი და საჭირო დახმარების აღმოჩენას სოფლებში.

ოქტომბრის ქარი მხოლოდ ეხლა გუგუნებს საქართველოს სოფელში და მოუწოდებს მუშებისა და გლეხების მასებს სამარე გაუთხარონ ფეოდალიზმს.

მომაკვდავი წოდება საუკუნოდ ჩადის საფლავში. საბჭოთა ხელისუფლება კიდევ უფრო ძლიერი იქნება, მას შეუძლია უთხრას საქართველოს გლეხობას: „საბჭოთა ხელისუფლება დაგიცავს შენ ბურჟუაზიისაგან, მაგრამ უჩვენე მსოფლიოს, რომ შენ შეგიძლია უკეთ აწარმოო მეურნეობა განთავისუფლებულ მიწაზე.

ბ. ორახელაშვილი.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა

საკურორტო კომისია.

ბათომი. ბათომში ჩამოვიდა საქართველოს კურორტების მთავარი სამმართველოს მიერ გამოგზავნილი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს აჭარისტანის კურორტების შესახებ ყველა პრინციპიალური საკითხების გადაჭრა. კომისია უკვე შეუდგა ქობულეთის აგარაკების დათვალიერებას.

კომკავშირში.

ბათომი. კომკავშირის უჯრედების მდივნების თათბირმა დაადგინა: „ერთიანმა საკავშირო დღემ შეიძლება იარსებოს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არის კვალიფიციურ აქტივისტების კადრი. მაგრამ ვინაიდან ასეთი აქტივისტების რიცხვი მცირეა, და უჯრედებთან მიმაგრებული ამხანაგები ვერ ესწრებიან ყველა კრებებს, საჭიროა მეორე საკავშირო დღის შემოღება. მთელი ორგანიზაციისათვის უნდა მოეწყოს სამი პოლიტიკური წრე, სადაც კავშირის თითეულმა წევრებმა უნდა მიიღოს პოლიტიკური განათლება“.

სახლი შრომის ინვალიდებისათვის.

ბათომი. დამზღვევ სალაროს განზრახვა აქვს მოაწყოს ბათომში სახლი შრომის იმ ინვალიდებისათვის, რომლებიც სალაროს ხარჯზე ცხოვრობენ.

აზერბეიჯანი

ქალაქის შეფობა სოფელზე.

ბაქო 22 აპრილი. აზერბაიჯანის კომუნისტური პარტიის ბალახანის რაიონულმა კომიტეტმა მიიღო შეფობა ყუბის, შუშის და კარიაგინის მაზრებზე; სურახანის რაიონულმა კომიტეტმა—შემახის და გეოკჩაის მაზრებზე; ბინაგადინის რაიონულმა კომიტეტმა—ნახიჩევანის მხარეზე; ქარხნის რაიონმა—კაზახის, შამხორის და კუბატლინის მაზრებზე; სადგურს გარეთის რაიონულმა კომიტეტმა—ლენქორანის და სალიანის მაზრებზე ქალაქის რაიონულმა კომიტეტმა—ნუხისა და ზაქათალის მაზრებზე. ასეთივე შეფობას იღებენ პროფკავშირების სამთო-მადნო წარმოების მუშების, წყლის ტრანსპორტის, რკინის გზელების, მეტყავეების, ფეიქრების, მკერავების, საბჭოთა მუშა-მოსამსახურეების, მუშათა ხელოვნების და აზერბაიჯანის პროფ.-კავშირთა საბჭო.

რ. ს. ფ. ს. რ. დახმარება ბაქოს.

ბაქო. 22 აპრილი. რ. ს. ფ. ს. რ. სახკომ საბჭომ მიიღო დადგენილება ბაქოს ალმასკომისათვის წარსული წლის დამღევს დამწვარი სადგური ნასოსნაიას აღსადგენათ სესხის მიცემის შესახებ. სესხის რაოდენობა უდრის 235.000 მანეთს ოქროთი და გადახდილი უნდა იქნეს 5 წლის ვადაში.

სომხეთი

წითელი ჯვარი.

ერევანი. 22 აპრილი. სომხეთის წითელი ჯვრის მოქმედება გამოიხატა ხალხისადმი საექიმო დახმარების მოწყობაში წითელ ჯვარს აქვს თავისი განყოფილებები ალექსანდროპოლში, ჯელალოგლში, დილიჟანში და გერუსაში. 9 თვის განმავლობაში გეოუქ ვერდინის რაიონში აღმოუჩინეს დახმარება 10000 კაცს, მათში 95 პროც. ვაჟებია. ზანგეზურში, კარაკლისში და ალიძარში გახსნილია საექიმო დახმარების პუნქტები, დიხაში—სანიტარული პუნქტი ზანგეზურში 4 თვის განმავლობაში დახმარება მიიღო 5000 ავათმყოფმა, მათ შორის 55 პროც. ციებით ავათმყოფებია ტატერში, მაგანჯუხში და ბაიადურში მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილს დაურიგეს თბილი საჭმელი. ლორის მაზრაში დახმარება აღმოუჩინეს 5000 კაცს. ალექსანდროპოლში მოწყობილია თავშესაფარი 100 ბავშვისათვის. კანაკირში იხსნება თავშესაფარი. წითელმა ჯვარმა გახსნა სათონეების დათა კურსები, სადაც ამ ჟამათ მეცადინეობს 23 კაცი. წითელი ჯვრის განყოფილებები არის აგრეთვე თავრიზში, მარსელში, ლონდონში, კონსტანტინოპოლში, მოსკოვში და ბათომში. წითელი ჯვრის საშუალებას შეადგენს შემოწირულებანი და გადასახადებიდან შემოსული პროცენტული გადარიცხვა. ზაფხულისთვის წითელი ჯვარი აწყობს მცხოვრებთა დახმარებისთვის მფრინავ რაზმებს.

დამშეულთათვის დახმარება.

ალექსანდროპოლი. 20 აპრილი. ალექსანდროპოლის მაზრაში თესლეულობის განაწილება დასრულდა. განაწილებას აწარმოებდა შიმშილობის შედეგებთან ბრძოლის კომიტეტი.

ტფილისის ალმასკომის პლენუმი

(1923 წლის 21 აპრილი)

1923 წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

(ამხ. ბახილაიას მოხსენება).

ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის დროს თავი იჩინა ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნების კურსის დაცემის ტენდენციამ, რის გამო საჭირო დარჩა ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა ომამდე არსებული მტკიცე ვალიუტით.

ხარჯთ-აღრიცხვის შემოსავალ-გასავლის შედარების დროს შემოსავლის წყაროების ზერელეთ მიმოხილვისაგან დანამდვილებით გამოირკვა, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა აკრებილ გადასახადებს და სხვა შემოსავალს, და აგრეთვე ალმასკომის დახმარებას სახალხო განათლების და მუშათა და გლეხთა მილიციისათვის, მაინც არ შეიძლება მთელი გასავლის შემოსავლის ჩარჩოებში მოთავსება და შესაძლებელია რომ გასავალი მეტი იქნება შემოსავალზე.“

ამიტომ სხვა და სხვა ხარჯთ-აღრიცხვები მნიშვნელოვნად შემცირდენ.

ჯამების წინასწარმა გამოანგარიშებამ მოგვცა შემდეგი შედეგები:

შემოსავალი—5,089.795 მ. და 85 კ. ოქრ.

გასავალი—5 368.329 მ. და 24 კაპ. ოქრ.

ამგვარად ვღებულობთ დეფიციტს 278.533 მ. და და 39 კაპ., რომლის დასაფარავად საჭირო იყო მოგვემართა ორ ახალ გადასახადისათვის, შემფასებელის და საბინაო გადასახადებისათვის; პირველს შეუძლია მოგვცეს—178 533 მ. და 39 კაპ., მეორეს 100 ათასი მანეთი.

ასეთი იყო მდგომარეობა 1923 წ. 2 აპრილის დეკრეტის გამოცემამდე რომლის თანახმად ჯერ კიდევ განუმტკიცებელ ადგილობრივ ბიუჯეტს დაეკისრა ხარჯები სახალხო მოსამართლეების შესანახად და სოციალურ უზრუნველყოფისათვის და გარდა ამისა სახელმწიფო მომარაგებიდან მოიხსნა მუშათა და გლეხთა მილიცია, საბავშვო სახლები, ბაღები და სხვა. მილიციის ჯამაგირები უდრის 212,416 მ. და 26 კაპ. ხოლო საბავშვო სახლების და სხვა შესანახი ხარჯები—156,647 მ. და 44 კაპ. ამგვარად მხოლოდ ამ ორი ხარჯების დასაფარავად ქალაქის გასავალი იზრდება 369,063 მ. და 70 კაპიკით.

მართალია იგივე დეკრეტი აძლევს ადგილებს ახალ შემოსავლის წყაროს სახელმწიფო გადასახადებზე პროცენტულ დამატებების სახით, მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ შესაძლებელი გახდეს ამ ხარჯთ-აღრიცხვის პერიოდში ამ გადასახადების შემოღება. ამიტომ საჭიროა აღიძრას შუამდგომლობა, დროებით, სანამ ადგილობრივი ბიუჯეტი განმტკიცდებოდეს დატოვებულ იქნას ის მდგომარეობა, რომელიც არსებობდა 2 აპრილის დეკრეტის გამოცემამდე.

საჭიროა მიექცეს ყურადღება სოციალურ დაზღვევაზე გადასახადის არა ჩვეულებრივ სიმძიმეს, რომელსაც ჰნდება მთელი ბიუჯეტის თითქმის 10 პროც.

რაც შეეხება შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის ციფრებს, ჩვენ გვაქვს შემდეგი სურათი:

შემოსავალი:

წასული წლის ნარჩენი 10216 ოქრ.

ქალაქის ნაწარმოებ.—2,239,421 მ. 47 კაპ.,

ქალაქის ქონების და ბეგარის—1,297,795 მ. და 49 კაპ.

სახელმწ გადასახადების გადარიცხვა—195,300 მან.

გადასახადი უძრავ ქონებაზე—178,503 მ. 39 კაპ.

გადასახ. ვაჭრობა-მრეწველობაზე—115,935 მ.

გადასახ. ცხენებზე, ძაღლებზე და ეტლებზე—13 677 მ.

სხვადასხვა ბაჟები—151,794 მ.

დახმარება ქალაქს და სესხი—1025826 მ. 21 კაპ.

გასავალის დაბრუნება—108,446 მ. 68 კაპ.

სხვადასხვა შემოსავალი—81,414 მ.

სულ—5,368,329 მ. 24 კაპ. ოქრ.

გასავალი.

ალმასკომის საქმეთა სამართველოს შენახვა—569.534 მ. და 41 კ. ოქრ.

კომუნალურ მეურნეობის ორგან. შესანახად—39556 მ. და 46 კ. ოქრ.

კომუნალურ ქონებათა მოწყობა და შენახვა—150 827 მ. და 36 კ. ოქ.

ქალაქის გასაუმჯობესებლად—271.538 მ. 09 კ. ოქრ.

ქალაქის წარმოებ. და მეურნეობათა ხარჯ.—2 239 939 მ. და 10 კ ოქრ.

სანიტარული ღონისძიებანი—8.057 მ. 92 კ. ოქრ.

ცეცხლის გაჩენისაგან დაცვა—103.062 მ. 11 კ. ოქრ.

გზები—61.506 მ. 28 კ. ოქრ.

სახალხო განათლება—758.572 მ. 42 კ. ოქრ.

ჯანმრთელობის დაცვა—708 609 მ. 38 კ. ოქრ.

ჯარების ნაწილების შესანახ ხარჯ.—204.297 მ. 39 კ. ოქრ.

სოციალური უზრუნველყოფა—5.187 მ. 95 კ. ოქრ.

ვალების და სესხის გასტუმრება—56.059 მ.

სათადარიგო ფონდი—125 000 მ.

სხვადასხვა ხარჯები—10.474 მ.

სულ—5.368.329 მ. და 24 კ. ოქრ.

ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის განხილვის შემდეგ შეტანილ იქნა კონკრეტული წინადადებანი, რომელთა ერთი ნაწილი მიღებულ იქნა. ამგვარად ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია ალმასკომის მიერ შემდეგი შესწორებებით:

1) დაყვანილ იქნას ქალაქის ელექტრონის სადგურების გამგეობის ხარჯები—220 787 მან-დე.

2) გზების შესანახი ხარჯები მაზრაში გადიდებულ იქნას 80 ათასი მანეთამდე.

3) შეტანილ იქნას დამატებითი ხარჯები სახლების შესაკეთებლად—70 ათასი მანეთი.

4) გადიდებულ იქნას 100 პროც.-ით, ე. ი. 26 ათას მანეთამდე მაზრის მცხოვრებთა აგრონომიულ დახმარების ხარჯები.

5) ყველა ეს სამუშაოები ჩაითვალოს დამკვრელად და წინადადება მიეცეს ფინანსიურ განყოფილებას, გამონახოს წყაროები ამ ხარჯების დასაფარავად.

გარდა ამისა დადგენილ იქნა აღიძრას შუამდგომლობა მოხსნილ იქნას ადგილობრივ ბიუჯეტიდან ხარჯები, მილიციის, საბავშვო სახლების და სხ. შესანახად.

საბინაო ქირის ტარიფიკაცია.

(ამხ. მესხის მოხსენება)

საბინაო ქირის ტარიფიკაციის საკითხს უნდა მივუდგეთ ფრთხილად და განაკვეთის შემუშავების დროს უნდა მივიღოთ მხედველობაში მუშის ბიუჯეტი ერთის მხრივ და მეორეს მხრივ ხელი შეუწყოთ სახლების შეკეთებას და აღდგენას.

რამდენადაც შესაძლებელია წარმოდგენილ პროექტში ეს პირობები დაცულია და საშუალო ნორმის 100 კვ. არშ. ბინის (როდესაც ოჯახი შესდგება 4 სულისაგან) ქირა იქნება ხელფასის სიდიდის მიხედვით 1,7 პროც.—6 პროცენტამდე. განაპირა უბნებში და 3,4 პროც.—12 პროცენტამდე ცენტრში.

თუ მივუდგებით ამ განაკვეთს მშრომელთა ბიუჯეტის მხრით დავინახავთ, რომ პროცენტულად მუშა მოსამსახურეთა ბიუჯეტში ბინის ქირას ეკავა იქ ადგილი, რომელიც უნდა ეჭიროს დღევანდელ მომენტში ცოტა მეტის გადახდა მოუხდებათ ცენტრში მცხოვრებთ და აგრეთვე იმათ, ვინც დიდ ხელფასს იღებს.

პროექტი გულისხმობს ახალ ტარიფის შემოღებას 1923 წ. 1 მაისიდან. პროექტის დედა აზრი შემდეგში მდგომარეობს.

ნიხრის დაწესების მხრივ ქალაქი იყოფა ორ ნაწილად ცენტრად და განაპირა უბნებათ, რომელსაც ეკუთვნის, საბურთალო, ახალშენი, ვაკე, სიმონოვის მოსახლეობა, მთელი 6-ე რაიონი, ორთაჭალა, ქალაქის მთელი ნაწილი რკინის გზის იქით, მთელი 11 რაიონი და დიდუბე, პლეხანოვის ქუჩის ბოლოდან და ტრამვაის პარკის იქით.

საიჯარო გადასახადის გადამხდელები იყოფიან 8 კატეგორიათ, ამასთან ერთად მუშები და მოსამსახურეები შედიან პირველ კატეგორიაში, ხელფასის სიდიდის მიუხედავათ. ქვემოდ მოყვანილი ცხრილი იძლევა წარმოდგენას კატეგორიებათ დაყოფვის და ქირის რაოდენობის შესახებ, კატეგორიის და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კატეგორია	ხელფასის რაოდენობა	ქირა 1 კვადრატ არშინზე ცენტრში	განაპირას
1.	15 მანეთამდე	0,5 კაპ.	0,25 კაპ.
2.	11 მან. 25 მან.	1,5 „	0,5 „
3.	26 „ 35 „	1,5 „	0,75 „
4.	36 „ 50 „	3 „	1,5 „
5.	51 „ 70 „	5 „	2,5 „
6.	71 „ 100 „	7 „	3,5 „
7.	100 მან. და მეტი	12 კაპ.	6 „
8.	დანარჩენი მოქალაქეები იხდიან სახლის პატრონთან შეთანხმებით, მაგრამ არა უმეტეს	100 კაპ.	50 „

სარდაფებში, ნახევრად სარდაფებში, ნოტიო და ბნელ სადგომებში და აგრეთვე ერთ სართულიან სახლებში (სადაც წყალსადენი არ არის) მცხოვრებნი იხდიან 50 პროც. ნაკლებს. ბინის ქირის საერთო ჯამს დაემატება: იქ, სადაც არის ვანა—1 პროც., სადარბაზო შესავალი—1 პროც., შუშაბანდი—1 პროც. და სამზარეულო—1 პროც.

პირველ კატეგორიას ეკუთვნიან უმუშევარნი (დაუზღვეველნი) და მოსწავლენი, რომელნიც ცხოვრობენ მშობლების გარეშე და არ აქვთ შემოსავალი. 3 კატეგორიას—მიწა-მრეწველნი, რომელნიც იმყოფებიან თვით შრომის კავშირში, 5 კატეგორიას თავისუფალი პროფესიის პირები.

განზრახულია ბინის ქირისაგან განთავისუფლება: შრომის და ომის ინვალიდების, იმ პირთა, რომელთაც დაჰკარგეს შრომის უნარი, და იმყოფებიან სოციალ-უზრუნველყოფაზე. დაზღვეულ უმუშევართა და წითელ არმიელთა უმუშევარ წევრთა.

სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი დაწესებულებები იხდიან არა უმეტეს 10 კაპ. კვადრ. არშინში.

ქირის გადახდის ვადები პირველი 7 კატეგორიისათვის დაწესებულია თვის ბოლოში, და იმ კურსის მიხედვით, რომლითაც მათ მიეცათ გასამრჯელო, ხოლო მე-8 კატეგორიისათვის არა უგვიანეს თვის 10 რიცხვისა ოფიციალურ კურსის მიხედვით.

იმ შემთხვევაში, თუ ქირა თავის დროზე არ იქნა შეტანილი პირველი 7 კატეგორიის პირნი და სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფი დაწესებულებანი იხდიან ჯარიმას 1 პროც. ყოველ გადაცილებულ დღეში, ხოლო 8 კატეგორიის პირნი და სამეურნეო ანგარიშზე გადასული წარმოებანი 20 პროცენტს. ოქროს გადასახადისაგან განთავისუფლდებიან მუშა-მოსამსახურენი, თუ ვადის გადაცილება მოხდა მათი ხელფასის დაგვიანების გამო.

ყოველგვარი დავა საიჯარო ქირის გარშემო გაირჩევა სახალხო სასამართლოებში.

შემოღებული იქნება დამატებითი გადასახადი ნორმაზე ზედმეტი ბინის სარგებლობისათვის. ეს გადასახადი შევა ალმასკომში და მოხმარდება კომუნალურ შენობების შეკეთებას.

განხილვის შემდეგ პროექტი საბინაო ქირის ტარიფიკაციის შესახებ მოწონებულ იქნა ალმასკომის მიერ.

პარტიული ცხოვრება

სამხედრო-საზღვაო სტამბაში.

შრომის განთავისუფლების დღესასწაული.

უჯრედი ჩვენი პატარაა, მასში ირიცხება არა უმეტეს 15 კაცისა. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მოდიან იმდენი უპარტიო მუშები, რომ უჯრედის სხდომები ყოველთვის წარმოადგენს ფაქტიურათ მუშათა საზოგადო კრებას. ასე მოხდა წასულ პარასკევს: უპარტიოთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო, ვიდრე უჯრედის წევრებისა, მოხსენება შეეხო ყველასთვის ფრიად საინტერესო და ცოცხალ თემას, მუშათა საზეიმო დღეს—1 მაისის დღესასწაულს.

მომხსენებელმა მკაფიოდ და ნათლად დაასურათა პირველი მაისის დღესასწაულის ისტორია, რომელიც დამახასიათებელია არა მარტო იმით, რომ ეს საზეიმო დღე მაჩვენებელია მუშათა მასიური პროტესტის, არამედ ამასთან ერთად ის აყენებდა დღიურ პროგრამის საკითხების კონკრეტიულ ლოზუნგებს, მაგალითად: 8 საათის სამუშაო დღე, ომი ომის წინააღმდეგ ბრძოლას და სხვა.

ამ ჟამათ 1 მაისის ლოზუნგია: საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლა და კულტურული შეფობის გზით მუშათა და გლეხთა შორის კავშირის განმტკიცება.

დასასრულს მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: „იმ დროს, როდესაც საბჭოთა ფედერაციის მშრომელთათვის 1 მაისი შრომის განთავისუფლების საზეიმო დღეა, ევროპაში 1 მაისი საერთაშორისო ფაშიზმის წინააღმდეგ გამზადებულ მშრომელთა მებრძოლ რიგების დათვალიერებაა. უჯრედი მხურვალე სალამს უგზავნის დასავლეთის ძმებს, რომელნიც ჯერ კიდევ იტანჯებიან კაპიტალის უღლის ქვეშ და თხოვს მათ არ დაივიწყონ, რომ ჩვენ ყოველთვის მზათა ვართ მათთან ერთად ვიბრძოლოთ საერთაშორისო ბურჟუაზიისა და ფაშიზმის წინააღმდეგ“.

ჩვენი სტამბა - სოფლის შეფი.

ამას შემდეგ ერთმა ამხანაგმა შემოიტანა შემდეგი წინადადება: გლეხობასთან პრაქტიკული კავშირის დასამყარებლად ცხოვრებაში კულტურული შეფობის გატარებისათვის მთელი სამხედრო-საზღვაო სტამბა იღებს შეფობას მახლობელ სოფელზე, უჯრედი კი—ამავე სოფლის უჯრედზე. წინადადება მიიღეს ერთხმად მქუხარე ტაშის ქვეშ.

მ.

მღვდელი ამბობს, რომ მას თვითონ არ სწამს ღმერთი და სარწმუნოება

11 აპრილს, საეკლესიო დღესასწაულის დღის სოფელ სამშვილდოში, მანგლისის რაიონში სადაც მრავალი ხალხი იყო შეკრებილი, კომკავშირმა, ანტისარწმუნოებრივი აგიტაციისათვის, გახსნა მიტინგი სრულიად მოულოდნელათ, გამოსულ ორატორთა შორის გამოჩნდა თვით მღვდელი და წარმოსთქვა მეტად საინტერესო სიტყვა რელიგიისა და მღვდლების წინააღმდეგ; მისი სიტყვით მღვდლები ბურჟუაზიის დამქაშებია, სარწმუნოება მათთვის მხოლოთ იარაღია პირადი ინტერესებისა და სურვილების განსახორციელებლათ.

„მე თვითონ შევიქენი მღვდელი მხოლოთ იმ მიზნით, რომ გავმდიდრებულიყავი“, სთქვა მან, „ყველაფერი ის რასაც ვლაპარაკობდით ღმერთზე და რაღაც რწმენაზე,—სიცრუეა ჩვენ მას ვქადაგებდით, მაგრამ თვითონვე არ გვწამდა ის, გთხოვთ შემდეგში მე მიწოდოთ მხოლოთ მოქალაქე და არა მღვდელი“.

განათლების მუშაკის იუბილე

დღეს ტფილისში იმართება აფრასიონ კონსტანტინეს ძე ჯაფარიძის 50 წლის სამასწავლებლო მოღვაწეობის აღსანიშნავათ იუბილე.

მძიმე და საპასუხისმგებლო მოვალეობის ასრულება და ეკლიანი გზით სიარული უხდებოდა სახალხო განათლების ფრონტზე მომუშავეთ მეფის და შემდეგ მენშევიკების მთავრობის დროს. მუდამ მშიერ-მწყურვალი, დაკლიჯულ დაცვეთილი, ყოველგვარ უფლებრივ მდგომარეობას მოკლებული მასწავლებელი უკიდურეს გაჭირვებაში, დამცირებაში და ტანჯვაში ატარებდა თავის დღეებს. ბევრს გულიც უცრუვდებოდა და სრულებით თავს ანებებდა ამ დარგში მუშაობას, მაგრამ იყვენ ისეთებიც, რომლებიც გმირულათ მისდევდენ ერთხელ არჩეულ გზას ბოლომდე. ერთი ასეთი მოღვაწეთაგანია ქალაქ ტფილისის მე 15 შრომის სკოლის მასწავლებელი აფრასიონ კონსტანტინეს ძე ჯაფარიძე. მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში მტკიცედ იდგა ის განათლების საქმის სადარაჯოზე, დაუშრეტელი ენერგიით და სიყვარულით ემსახურებოდა ნორჩთაობის აღზრდის საქმეს.

რამდენმა ახალგაზრდამ გაიკვლია ცხოვრების გზა ამ ხნის განმავლობაში მისი პირველი ხელმძღვანელობით რამდენი სასარგებლო წევრი შეეძინა საზოგადოებას!

მეტათ ბუნებრივია, რომ მისი მოღვაწეობა მისმა ამხ-მა და სათანადო უწყებამ დააფასონ. განათ. ფრონტი ამ ჟამად საერთო ყურადღებას იპყრობს მთელ საბჭოთა ფედერაციაში, განათლების მუშაკნი წინა რიგებში უნდა მოსჩანდენ, ისინი ყოველივეს აძლევენ მშრომელთა სახელმწიფოს და მანაც ყოველივე უნდა მასცეს მათ.

ვუსურვებთ დღეგრძელობას იუბილიარს!

გ.

ეკლესიები კლუბებათ

12 აპრილს კომსომოლის ინიციატივით ბელი კლიუჩში შესდგა მიტინგი სარწმუნოების და მის მსახურთა დახასიათებით, რის შემდეგ გლეხობამ ერთხმად დაადგინა გადაკეთდეს ადგილობრივი ეკლესია კლუბათ-განათლების კერათ.

საზოგადოთ ანტი-რელიგიოზური კამპანია მანგლისის რაიონში მნიშვნელოვან შედეგებს იძლევა. ხალხის ნებასურვილით 8 ეკლესია გადაკეთებულია კლუბებათ.

მ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(23 აპრილი)

ოქროს 10 მან.—11,250 ათასი.

გირ. სტერ. (ჩეკ) 1,425 ათასი.

ლირა — — — 1,080 ათასი.

საბჭ. ფულის ნიშ. 16,25 ათასი.

ძვირფასი ლითონების კურსი.

ოქრო 94 საზინ. მისხალი—3 მან. 40 კაპ., ოქრო 56 საზინ. მისხალი—1 მ. 70 კაპ. ვერცხლი 84 საზ.—6,75 კ. 1 მანეთი ბანკის (ვერცხლი) 40 კაპ. 1 მან. ხურდა ვერცხლი—16,5 კაპ.

განწყობილება ვალიუტის ბაზარზე.

(23 აპრილს.)

ვალიუტის ბაზრის განწყობილებას ახასიათებს კურსის მცირეოდენი აწევა ოქროს ათ მანეთიანზე. ამასთან ერთად კურსმა აიწია რამოდენიმედ დანარჩენ ვალიუტაზეც. მოთხოვნილება სჭარბობს მიწოდებას.

ტფილისის სადგურზე მიღებული ტვირთები.

(21 აპრილი).

პირდაპირი მარშრუტით—თოკები 169 ფ, მანუფაქტურა 449 ფ., ლურსმები—1055 ფ, ფქვილი „სეიანკა“—982 ფ., ხორბლის ფქვილი—918 ფ. ბამბის ქსოვილი—536 ფ., ტომრები—126 ფ: ფაიფურის ჭურჭლები—359 ფ მანუფაქტურა—455 ნახ.

ადგილობრივი მარშრუტით—ქვანახშირი—5 ვაგონი დამარილებული თევზი—480 ფ მაზუთი—9 ცისტერნ. მსუბუქი ნავთი—1 ცისტ. ასანთი—403 ქ მარილი—958, ღვინო—2023 ფუთი, გაუწმენდელი მატყლი—45 ფუთი, ჯაგარი—6 ნახ. ფუთი.

ოქროს კურსი რ. ს. ფ. ს. რ. სხვა და სხვა ქალაქებში.

(20 აპრილი)

ხარკოვი—720 მ კიევი—680 მან. მინსკი—695 მ ოდესა—650.

საგარეო ხელშეკრულებებისათვის მზადება.

როგორც ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატის საინფორმაციო განყოფილება იტყობინება, განზრახულია რ. ს. ფ. ს. რ. საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან მოეწყოს საუწყებათაშორისო კომისია, რომელიც შეიმუშავებს სავაჭრო ხელშეკრულებებს. კომისიის შესახებ დებულების შემუშავება დაევალა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს დაინტერესებულ უწყებებთან ერთად.

სახელმწიფო ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სამმართველოში.

მზადდება მოსკოვში გასაგზავნად (რუსეთის მრეწველობის საჭიროებისათვის) ამიერ-კავკასიის სხვა და სხვა გვარი ნედლი მასალები 20 ვაგონამდე (აბრეშუმი, თამბაქო, ბამბა)

საქართველოს სასოფლო—სამეურნეო გამოფენაზე.

მომავალ სასოფლო—სამეურნეო გამოფენისათვის (1923 წ. აგვისტო—სექტემბერში) მზადების კომიტეტი აცხადებს, რომ დამზადებულია უკვე ექსპონატების 40 პროცენტი. კომიტეტმა მიმართა საპირველმაისო კომისიას, რათა მასთან შეთანხმებით გაავრცელოს გამოფენის იდეია.

ხე-ტყის ტრესტი „საქართველოს ხე-ტყე“

(იანვრის და თებერვლის მოქმედების მიმოხილვა).

1923 წლის პირველი იანვრისათვის ხე-ტყის ტრესტში შედიოდენ შემდეგი წარმოებები: 15 ხე-ტყის სახერხი ქარხანა, რომელთაგან მოქმედებს 8, იჯარით გაცემულია 2 და უმოქმედოთ დგას 5; ხის დასამუშავებელი სახელოსნო (ყოფ- მოსტოვოის)—1, გრეხილი ავეჯის ერთი ქარხანა და 8 ხე ტყის დასამზადებელი რაიონი.

ზემოთ—ჩამოთვლილ წარმოებებში მუშაობს სულ 269 კაცი, ამათგან 171 მუშაა და 98 მოსამსახურე.

ხე-ტყის ოთხი სახერხი ქარხნის (თბილისის, რედუტ-კალეს, ფოთის № 2 და ნატანების), რომელთა წარმოების შესახებ იანვრის და თებერვლის თვეებში ცნობები მოგვეპოვება, პროდუქცია გამოიხატა შემდეგ ციფრებით: მუშების რიცხვი ამ ოთხ ქარხანაში უდრის 80—75 კაცს, სამუშაო დღეების საშუალო რაოდენობა 1434—1547. ორი თვის განმავლობაში დახერხილია 50.962 კუბიკური ფუტი ხე ტყის მასალა და მიღებულია 12 არშინიანი ფიცარი 44650 კვ. ვერშოკი და 1232 ცალი შპალი. ამ პროდუქციის ღირებულება საშუალოდ უდრის 16859 მან. ოქროთი.

გრეხილი ავეჯის ქარხანაში მუშაობს 24 მუშა. სამუშაო დღეების რაოდენობა 529—557 უდრის. ამ წლის პირველი ორი თვის განმავლობაში დამზადებულია 19 დიუჟ სკამი და გრეხილი ავეჯის ნაწილები 2961 ცალი. ამ პროდუქციის ღირებულება საშუალოდ უდრის 2197 მან. 50 კაპ. ოქროთი.

ხის მასალის დასამუშავებელ სახელოსნოში მუშაობს 17 კაცი, სამუშაო დღეების რაოდენობა უდრის 371—336. ამ დროის განმავლობაში დამზადებულია 1745 მ. 50 კაპ. ღირებულების სხვადასხვა საოჯახო ნივთები.

ხე-ტყის დასამზადებელ რაიონებში ორი თვის განმავლობაში დამზადებულია 4057 დვირი, შეშა—2215 კუბიკური საჟენი, შპალი—529 ცალი და 48242 მანეთის (ოქროთი) სხვა მასალა. წინა თვეებთან შედარებით ტრესტის სხვადასხვა დარგების წარმოების ნაყოფიერება რამდენიმეთ გაიზარდა. ტრესტის საწარმოო დარგების ნედლ მასალას აწვდიან რაიონები, დამატებითი მასალებს კი ტრესტი იძენს კერძო ბაზარზე მის განკარგულებაში მყოფ თანხებით.

ფინანსიური და ეკონომიური ხასიათის მოსაზრებით და აგრეთვე ერთიანი ხელმძღვანელობის მიზნით „საქართველოს ხე-ტყის“ ტრესტის გამგეობამ 20 თებერვალს მოახდინა გრეხილი ავეჯის ქარხნის და ხის დასამუშავებელი სახელოსნოს გაერთიანება.

შერეული საზოგადოებანი

ამ.-კავკასიაში და სპარსეთში სავაჭრო ოპერაციების ფართოდ და სათანადო ნიადაგზე მოსაწყობათ საჭიროა დიდი საბრუნებელი საშუალებანი, რის შესაძლებლობა არ აქვს არც ერთ სახელმწიფო და საკოოპერაციო ორგანიზაციებს. ამისათვის აუცილებელია, რამდენადაც შესაძლებელი იქნება, მოხდეს ყველა თანხების სრული გაერთიანება შერეულ საზოგადოებების სახით, რომელთა დანიშნულებას შეადგენს რომელიმე სპეციალური ამოცანები. შერეულ საზოგადოებათა უპირატესობა, გარდა თანხების გაერთიანებისა, მდგომარეობს მასში, რომ ამ შემთხვევაში თითეული ორგანიზაციის დანიშნულებას შეადგენს განსაზღვრული სპეციალური საგანი და ეს კი სპობს უნაყოფო კონკურენციას, რომელიც აუცილებელი შედეგია განცალკევებული მუშაობის დროს. ამასთან საშუალებას იძლევა მომზადებულ თანამშრომლებზე დაცული იქნეს ეკონომია. შერეულ საზოგადოებათა მნიშვნელობა მით უფრო მეტია, თუ მასში მონაწილეობას იღებს კერძო კაპიტალი. ამ ჟამათ ორგანიზაციის პროცესში იმყოფება შემდეგი საზოგადოებანი:

ამიერ-კავკასიის თამბაქო—მეთამბაქოების განვითარებისა და თამბაქოს დამზადებისათვის ამიერ-კავკასიაში, რომელიც შესდგება შემდეგ მონაწილეებისაგან: ამ.-კავ. სახელმწიფო ვაჭრობა, თამბაქოს ტრესტი და სხვა.

ამ.-კავ. მეაბრეშუმეთა საზოგ.—აბრეშუმის დამზადებისა და მეაბრეშუმეობის განვითარებისათვის ამიერ-კავკასიაში.

ნაწლავების დამზადებელი აქციონერული საზოგადოება რომელშიდაც შედიან დამფუძნებელთა სახით ამ.-კავკასიის სახელ. ვაჭრობა, ცენტროკავშირის ამიერ კავკასიის განყოფილებანი და კერძო კაპიტალი.

მატყლის დამზადებელი საზოგადოება და ბამბის დამზადებელი საზოგადოება. ამ ჟამათ უკვე მოქმედობს საზოგადოება „ძირტკბილა“ (СОЛОДКОВЫЙ КОРЕНЬ), რომელშიც ჯერჯერობით შედის მხოლოთ აზერბეიჯანის ვაჭრობა მრეწველობის სახ. კომისარიატი და ამ.-კავკასიის სახელ. ვაჭრობის განყოფილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

გამოსავალი გზა უნდა გამოინახოს.

(რკინის გზის „ცენტროტრამოტის" განყოფილების მუშების ცხოვრებიდან).

ამიერ-კავკასიის რკინის გზის საქართველოს ხაზის ყოველგვარი ტვირთვის გადმოტვირთვის საქმის ხელმძღვანელობა ა. წ. 1 აპრილიდან ა/ლო „ცენტროტრამოტმა", რომელმაც ამისათვის განსაკუთრებული განყოფილება შექმნა რკინის გზის „ცენტროტრამოტის განყოფილების" სახელწოდებით. ამ დარგში მთელ ხაზზე ირიცხება 1026 მუშა-მოსამსახურე. უნდა ითქვას, რომ ეკონომიურად არასოდეს არ ყოფილან ამ დარგის მუშები შევიწროებული ისე, როგორც ეხლა, ვინაიდან ისინი ღებულობენ ჯამაგირს დაახლოებით ათ-თერთმეტ მილიონს თვეში და მასთან მოკლებულნი არიან რკინის გზელების ყოველგვარ უფლებებს. ეხლა კითხვა ისმება იმის შესახებ, თუ რა მოსაზრებით „ცენტროტრამოტა" ასეთ მცირე ხელფასს აძლევს მუშებს და რა პირობებმა აიძულა თვით ცენტრალური შემათანხმებელი კომისია, რომ ის ამჟამინდელი ჯამაგირების დანიშვნაზე დასთანხმდა. ამის მიზეზია ხელშეკრულების პირობები, რომელიც ტრამოტას აქვს დადებული რკინის გზის სამმართველოსთან, რის გამო მუშებისთვის საკმაო ჯამაგირების მიცემა შეუძლებელი ხდება. აქედან „ტრამოტამ" საზარალო ხელშეკრულება დასდო რკინის გზის სამმართველოსთან და ამ გარემოებამ კი თავის მხრივ მუშები ჩააყენა აუტანელ მდგომარეობაში. ძნელი სათქმელია ის, თუ როგორი იქნება მომავალში ეკონომიური პირობები ამ მუშების, მაგრამ თავის თავად ცხადია, რომ დიდხანს ვერ გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა. საჭიროა გამოინახოს რაიმე გამოსავალი გზა. ამგვარ გზად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ „ტრამოტას" რკინის გზ. სამმართველოსთან ერთი წლით დადებული ხელშეკრულება აუცილებლად შეიცვალოს, უნდა მოხდეს მისი გადასინჯვა და საფუთო გადასახადების გადიდებაც, საიდანაც „ტრამოტას" საშუალება ექნება მუშებს მისცეს იმდენი ხელფასი, რომელიც რამოდენიმედ მაინც დაუახლოვდება ბაზრის ფასებს. ვისი საშუალებით შესძლებს „ცენტროტრამოტა", რომ ახლო ხანში გადაისინჯოს ხელშეკრულება? მას ამ საქმეში უნდა დაეხმაროს პროფკავშირი და კავშირო და ის უნდა მოხდეს ძალიან დაჩქარებით. დროა ამ გადაუდებელ საკითხს დროზე მიექცეს ყურადღება.

ამავე დარგის მუშა
აბელი თოდრია.

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა შესახებ.

რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (ყოფილი მიხაილოვის საავადმყოფო) ამ ჟამად იმყოფება 144 მუშა-მოსამსახურე ხსენებული საავადმყოფო შეიცავს თითქმის ყველა საექიმო დარგებს, როგორიც არის მაგალითად—ტერაპია, ქირურგია, ნერვიული ავადმყოფობა, ცხვირ-ყურის და ყელის ავადმყოფობა სათანადო ამბულატორიებით—და მართლაც, როგორც მთავარი საავადმყოფო, იგი დახმარებას უწევს თითქმის მთელ რესპუბლიკას. ამიტომ აქ დიდ და შეუწყვეტელ მუშაობასაც აქვს ადგილი, რაც ამ ბოლო ხანებში ღებულობს ერთგვარი შრომის ექსპლოატაციის ხასიათს. მას შემდეგ, რაც საქართველოში დამყარდა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, რომელმაც დიდი ყურადღება მიაქცია მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის გაუმჯობესებას ყოველ მხრივ, რაც გამოიხატება ხელფასის მომატებაში, შრომის სამუშაო დროის ნორმის დაწესებაში და სხვა—ჩვენც დიდი სურვილი გვქონდა გაგვეტარებინა ყველა ეს ჩვენ ცხოვრებაში. მაგრამ ჩვენ ვერა გზით ვერ შევძელით არამც თუ მისი განხორციელება,—არამედ მასთან დაახლოვებაც კი საავადმყოფოში შტატის სიმცირის გამო. თუმცა ამ არანორმალურ მოვლენას აქცევდა ყურადღებას არამც თუ მარტო ადგილკომი, არამედ თვით ადმინისტრაციაც, ადგილკომი დიდი ხანია დარწმუნდა მასში, რომ მართლა საავადმყოფოში გადაჭარბებით სწარმოებს მუშა-მოსამსახურეთა შრომა, რის გამო მან მოითხოვა სამუშაო დროის კანონიერად განსაზღვრა, ზედმეტი საათების განსაკუთრებული გასამრჯელოს მიცემა და საჭიროებისდაგვარად შტატის გადიდებაც.

შრომის კავშირი გამოეხმაურა ამ მოთხოვნილებას და გამოგზავნა საავადმყოფოში თავისი წარმომადგენელი ამხ. მიხაილოვი, რომელიც მართლაც დარწმუნდა ჩვენ კანონიერ მოთხოვნილებაში და დაგვპირდა მისი ცხოვრებაში სასწრაფოდ გატარებას. მაგრამ დღის-დღეობით არც შტატებია გადიდებული და არც ზედმეტი ნამუშევარი არის ანაზღაურებული. ჩვენ კი, საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურენი, ვიმყოფებით ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჯამაგირების სიმცირის გამო. საჭიროა მოგვაქციონ ყურადღება და მდგომარეობა გაგვიუმჯობესონ.

შ. რველსკი.

სიფილისთან ბრძოლის საკითხი მუშებში

1923 წ. 11 აპრილს, მუშათა ცენტრალურ კლუბის დარბაზში ექიმ აკკერმანის თაოსნობით გაიმართა მისივე „ინსცენიროვკით" „როსკიპ ქალის გასამართლება".

კლუბის დარბაზი სავსეა მუშა-მოსამსახურეებით, რომელნიც იჩენენ იშვიათ სერიოზულობას და ცოდნის მოყვარეობას როსკიპის გასამართლებაში. ყველა მოუთმენლად ელის სასამართლოს გახსნას. ზოგს მღელვარებაც კი ემჩნევა, უმთავრესათ ქალებს. ყველა რაღაც მოლოდინში იმყოფება. საღამოს 8 ნახევარ საათზე სცენაზე შემოდის სასამართლოს წევრები, მართლადაც გამოდიან სცენაზე და იკავებენ იქ შუა ადგილს.

აქეთ-იქით სხედან საზოგადო ბრალმდებელი და დამცველი, მარჯვნივ მოწმეები და წითელ არმიელი, რომელიც დაავადმყოფდა „სიფილისი"-თ როსკიპისაგან.

თავმჯდომარემ გახსნა სასამართლოს სხდომა და გამოიწვია წითელ არმიელი, დაავადმყოფებული სენით. მის ჩვენებიდან გამოირკვა, რომ ნამდვილად როსკიპ ქალმა შეჰყარა მას ეს საშინელი სენი.

შემდეგ დაკითხულ იქნენ მოწმეები. მოწმეთა დაკითხვის და ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ წაკითხულ იქნა საჯაროდ 2 ოქმი, რომლიდანაც ირკვევა, რომ წითელ არმიელი ნამდვილად ავადმყოფია ამ სენით.

ამის შემდეგ მოხსენებას აკეთებს ექიმი ზუნტურიძე „სიფილისი"-თ ავადმყოფობაზედ. მომხსენებელმა მკაფიოდ და გასაგები ენით დაასურათა აუდიტორიის წინაშე ამ ავადმყოფობის საშინელი შედეგები და აღნიშნა მასთან ბრძოლის საშუალებები.

მოხსენების შემდეგ სასამართლო 10 წუთით სწყვეტს სხდომას.

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საზოგადო ბრალმდებელს, ექიმ აკკერმანს, რომელმაც თავის ვრცელ საბრალმდებლო სიტყვაში ნათლად დაასურათა ის საშინელება მშრომელ მასისათვის და საზოგადოებისათვის, რომელიც თან მოსდევს ამ სენს. ამიტომ მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად საჭიროა ბრძოლა „სიფილისი"-ს წინააღმდეგ. საჭიროა, სახელმწიფომ მიიღოს ყოველგვარი ზომები ამ სენის საწინააღმდეგოდ. თავის საბოლოო სიტყვაში ექიმი აკკერმანი მოითხოვს სასამართლოსგან კანონიერ სასჯელს ბრალდებულისთვის, რომელსაც ხელობად გადაუქცევია მშრომელი ხალხის შვილის, წითელ არმიელის დაღუპვა.

სულ ბოლოს სიტყვა მიეცა თვით ბრალდებულს, როსკიპს (ანსახიერებდა მსახიობი ქალი ვილლი), რომელმაც დაუსურათა სასამართლოს ყველა ის პირობები, რამაც აიძულა ის ცუდ გზით ცხოვრებაზე და თავის ტანის გაყიდვაზე. ბრალდებულს ცრემლები მოადგა თვალებზედ; მან სთხოვა სასამართლოს შეემსუბუქებინა მას სასჯელი. ამის შემდეგ სასამართლო გადის სათათბიროდ. სხდომის განახლებისას სასამართლო აქვეყნებს მის მიერ გამოტანილ შემდეგ განაჩენს:

„სასამართლომ, იცნო რა დამნაშავედ ბრალდებული როსკიპი ქალი, დაადგინა: გაიგზავნოს იგი საავადმყოფოში მოსარჩენად, შემდეგ შრომის ბირჟაში აღსარიცხავად, რათა ჩადგეს სამსახურში და პატიოსნად იცხოვროს".

მუშათა აუდიტორია განაჩენით მეტად კმაყოფილი დარჩა და ღრმა შთაბეჭდილების ქვეშ დაიშალა.

დამსწრე.

მუშათა ქრონიკა

— მუშკორების კრება. ამა წლის 22 აპრილს, ჩვენი რედაქციის შენობაში შესდგა გაზეთ „კომუნისტი"-ს თანამშრომელ მუშა-კორესპონდენტების მეექვსე კრება, რომელსაც დაესწრნენ 20-მდე მუშკორები კრება იხსნება ამხ. რედაქტორის თავმჯდომარეობით: კრებაზე საჯაროდ წაკითხულ და განხილულ იქნა მუშა კორ. ამხ. **სანდრო ბაჯიაშვილის** ფრიად საინტერესო წერილი შემდეგ თემაზე: **„მუშა და ეროვნული საკითხი".** თეზისების პრინციპიალურ და იდეიურ მხარეების განხილვა—მსჯელობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს თითქმის ყველა მუშკორებმა. თვით შემდეგ წაუკითხა კრებას თავის მშვენიერი მუშური „პატარა ფელეტონი"—ლექსად: **„სახლიდან ქარხანამდის"** მუშკორ. ამხ. **გიგო ხეჩუაშვილმა**, აგრეთვე მუშ.-კორ. ამხ. გიორგი ჩარხიშვილმა წაიკითხა თვისი ლექსი „პირველ მაისისათვის".

— შრომის ექსპლოატატორების დაჯარიმება. სახალხო სასამართლოს დროებითმა სესიამ გაარჩია **ბრალდებულ ალექსანდრე და დავით სულთანოვების** საქმე, რომელთაც საქმეებით დაუმტკიცდათ შრომის კანონების დარღვევა, რაც გამოიხატება მცირე წლოვან აბელოვისთვის სამუშაო დროის გაგრძელებაში, დასაზღვევ კასაში ფულის შეუტანლობასა და დაწესებულ მინიმუმზე ნაკლებ ხელფასის მიცემაში და სრულიად უსაფუძვლოდ ბავშვის სამსახურიდან დათხოვნაში. ყველა ამ მიზეზების გამო, სასამართლოს სესიამ ძმები სულთანოვები დამნაშავედ სცნო და 100 მანეთი ოქროთი დააჯარიმა და ამავე დროს წინადადება მისცა მათ, რათა ამხ. აბელოვი დაუყოვნებლივ დაბრუნებულ იქნას თავის სამსახურში.

— ფურნის პატრონის ილია გიორგობიანის საქმე. რომელსაც ბრალი ედებოდა იმაში, რომ მან სამსახურში არ მიიღო შრომის ბირჟიდან გაგზავნილი უმუშევარი კობახიძე, ხოლო საცხობში კი ამუშავებდა ბირჟის გარეშე დაქირავებულს. სახ. სასამართლოს სესიამ ილია გიორგობიანისადმი წაყენებული ბრალდების გარჩევის დროს აღმოაჩინა, რომ იმას (გიორგობიანს) ნამდვილად უარი განუცხადებია უმუშევრის კობახიძის მიღებაზე და ამავე დროს კი მას სამუშაოდ ჰყოლია აყვანილი სხვა მუშა ბირჟის გარეშე. ყოველივე ამის გამო მოქ. გიორგობიანი დამნაშავედ აღიარა სასამართლომ და 100 მანეთით (ოქროთი) დააჯარიმა.

პროფკავშირებში

სამთო-მადნეთ მუშაკთა კავშირში.

შავი ქვის ცალკე მართველობის ორგანიზაციის შესახებ.

25 აპრილს კავშირის პლენუმზე მოსმენილი იქნება მხარეთა მოხსენებები შავი ქვის ცალკე მართველობის ორგანიზაციის შესახებ

სამთო-ზედამხედველობის ორგანიზაცია.

კავშირის პრეზიდიუმმა გამოარკვია, რომ არსებული სამთო ზედამხედველობა სათანადოდ ვერ ასრულებს თავის მოვალეობას. კავშირმა ამ საკითხის შესახებ არსებითი დადგენილების გამოტანა გადასდო მომავალ პლენუმამდე.

კოლეგიალურ მმართველობის შემოღების შესახებ ტყიბულში.

კავშირის პრეზიდიუმმა მოისმინა რა მოხსენება უმ. სამეურნეო საბჭოს მიერ ტყიბულის მუშების წარმომადგენლების მოწვევის შესახებ ტყიბულში კოლეგიალურ მმართველობის შემოღების მიზნით, დაადგინა: ასეთი საკითხების გადაწყვეტა უნდა ხდებოდეს კავშირის ცენტრ. გამგეობის მონაწილეობით და საწინააღმდეგო მოქმედება კი სამეურნეო ორგანოებსა და კავშირებს შორის არსებულ დამოკიდებულებათა პირდაპირი დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

სამეურნეო ორგანოების და კავშირის ურთიერთ დამოკიდებულება.

გამგეობამ დაადგინა წინადადება მისცეს ყველა სამეურნეო ორგანოებს, რათა კოლეგიის ყოველ სხდომის შესახებ ცნობა ეძლეოდეს კავშირს—სხდომებზე თავის წარმომადგენლის გასაგზავნად.

განკარგულება სარაიონო განყოფილებებს.

პრეზიდიუმმა ყველა სარაიონო განყოფილებებს დაუგზავნა განკარგულება, რათა კავშირის უმაღლეს ორგანოების ყველა მოთხოვნანი დაუყონებლივ სრულდებოდეს სისწორით.

წარმომადგენლების გაგზავნა.

საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლად და აგრეთვე სრულიად საქ. პროფკავშირთა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების ასარჩევად, კავშირის გამგეობამ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ჭიათურაში, ტყიბულში და ბათომში.

კომუნალურ მეურნეობის მუშათა კავშირში.

სადელეგატო ყრილობის მოწვევა.

კომუნალურ მეურნეობის მუშაკთა კავშირის გამგეობამ დაადგინა 15 მაის მოიწვიოს სადელეგატო ყრილობა. წარმომადგენლობის ნორმა—10 კაცზე—ერთი. დღის წესრიგში შემდეგი საკითხები დაისმება: 1. მიმდინარე მომენტი, 2. კავშირის მოქმედების ანგარიში, 3. დელეგატების არჩევანი სრულიად საქართველოს პროფკავშირთა ყრილობაზე. 4 მიმდინარე საკითხები.

საჰაერო ფლოტისთვის

კავშირის გამგეობამ წინადადება მისცა ადგილკომებს საჰაერო ფლოტის სასარგებლოდ გადაიდოს ყველა მუშა მოსამსახურის ხელფასიდან არა უმეტეს ნახ. პროცენტისა.

სატანთვარჯიშო საზოგადოება „ჰერკულესი".

კავშირმა მიიღო შეფობა სატანთვარჯიშო საზოგადოება „ჰერკულესზე" და კულტგანყოფილებას მისცა წინადადება შეიტანოს ხარჯთ-აღრიცხვაში მისი შესანახი ხარჯები.

წიგნების შეძენა.

კავშირმა დაადგინა მუშებისათვის შეიძინოს წიგნები და ამ მიზნით სპეციალურად გაგზავნა თავისი წარმომადგენელი მოსკოვში.

ფეიქართა კავშირში.

პროფ-ტეხნიკური კურსების შესახებ.

კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა გახსნას პროფ-ტეხნიკური კურსები და ეთხოვოს განათლების კომისარიატს ყოფილ კომერციულ სასწავლებელში დაუთმოს 21 ბინა კურსებისთვის. იმავე პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ამხ. ჩომახიძეს და ფხალაძეს შეიმუშაონ კურსების გეგმა და დებულება და აგრეთვე მისი ხარჯთ აღრიცხვა.

საქალაქო ყრილობის მოწვევა.

ფეიქართა კავშირის პრეზიდიუმმა დაადგინა მაისის პირველ რიცხვებში მოიწვიოს კავშირის წევრთა საქალაქო ყრილობა სრულიად საქ. პროფკავშირთა ყრილობისათვის დელეგატების ასარჩევად

სანატორია „არაზინდო".

კავშირმა გამოჰყო სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა სანატორია „არაზინდოს" ასაშენებლად ჩაატაროს ფართე კომპანია და მიიღოს ზომები, რათა სამეურნეო ორგანოებმა თავის მხრივ თავიანთ შემოსავლიდან რამდენიმე პროცენტები გადარიცხონ ამავე მიზნით.

საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის.

პრეზიდიუმმა დაადგინა: საფეიქრო დარგის ყველა საწარმოო დაწესებულებები გადაეცეს უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ეკონომიურ განყოფილების განკარგულებაში მათი კონცენტრაციის და მოწესრიგების მიზნით.

ქრონიკა

საქ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში.

— ხე-ტყის ქარხნის შეკეთება. საქართ. სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს მეორე მექანიკური ქარხანა შეუდგა ტფილისის სამხედრო ხე-ტყის ქარხნის შეკეთებას, რომელიც ამ დღეებში დამთავრდება და დაიწყებს მუშაობას.

— ახალი ქარხანა. სახალხო მეურნეობის საბჭო აწარმოებს მუშაობას გლაუბერის მარილის ქარხნის დასაარსებლად.

— პოლიგრაფიული განყოფილება. საბჭოს პოლიგრაფიული განყოფილებამ შეაკეთა და აამოძრავა ჩქარი მბეჭდავი მანქანა, რომელიც ომის დაწყებიდან შეჩერებული იყო.

ქალაქის აღმასკომში.

— კოლექტიური ხელშეკრულების ვადის გაგრძელება. კომუნალურ განყოფილების კოლეგიამ დაადგინა გაგრძელებულ იქნეს კოლექტიური ხელშეკრულების ვადა ტრამვაის, წყალსადენის, აბანოების, ელექტრონის სადგურის და სამშენებლო-სატეხნიკო დარგის მუშებთან დადებული.

— გარე უბნის სამილიციო რაიონის გაუქმება. ქალაქის აღმასკომის სამმართველოს განყოფილების დადგენილებით 15 აპრილიდან გაუქმებულ იქნა გარე უბნის სამილიციო რაიონი, რომელიც შეუერთდება სხვა და სხვა სამილიციო უბნებს.

განათლების კომისარიატში.

— ბიბლიოთეკის ჩამორთმევა. განათლების სახ. კომისარიატმა გასცა განკარგულება დაუყონებლივ უსასყიდლოთ ჩამოერთვას ა. კლდიაშვილის, მ. ბილიბინს და სამადლოვს ფასიანი „ახალი წიგნების ბიბლიოთეკა" გადაეცეს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტს.

ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატში

— ახალი ტარიფი. 21 აპრილიდან გადიდებულ იქნა გადასახადი საფოსტო ამანათებზე. უბრალო წერილის გაგზავნა ღირს 50,000 მან., საგანგებო 100,000 მან., საფოსტო ღია ბარათები—30.000 მან., საჩქარო წერილების—100.000 მან. ტელეგრამა სიტყვა ღირს ადგილობრივად 15 ათასი, სხვა და სხვა ქალაქებში—50 ათასი, საჩქარო—150 ათასი მან.

ჯანმრთელობის კომისარიატში.

— ექიმების რაოდენობა. ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაასრულა სამკურნალო დარგში მომუშავეთა აღრიცხვა. აღრიცხვის მიხედვით, ტფილისში ითვლება—ექიმები 467, კბილის ექიმები და ტეხნიკები—258, ექიმის თანაშემწენი—200, ბებია-ქალები—157, მოწყალების დები—155, ფარმაცევტები 419, სამკურნალო ფაკულტეტის სტუდენტები მეოთხე და მეხუთე კურსის—23.

ა. ქ. შრომის სახ. კომისარიატის საქ. რწმუნებულის სამმართველოში.

— უმუშევრობასთან საბრძოლველათ სამმართველოს კოლეგიამ დაადგინა ეთხოვოს საქ. შიმშილობის შედეგებთან მებრძოლ კომისიას, რათა გასცეს განკარგულება შიმშილობასთან მებრძოლ აჭარის კომისიისადმი, რომ აჭარის შრომის განყოფილებას გაუწიოს ფულით დახმარება უმუშევრობასთან ბრძოლაში.

— უმუშევრების სამშობლოში გაგზავნა. ამავე სამმართველოს დადგენილებით აჭარის შრომის განყოფილებას მიეცეს 100 მილიონი მან. ბათომში მყოფ სამშობლოში წასვლის მოსურნე უმუშევრების გასაგზავნათ.

— ბინების შესახებ. ა. კ შრომის სახ. კომ. სამ. კოლეგიამ სთხოვა აჭარის ცენტრ. აღმასკომს, რათა ბათომის შრომის ბირჟას და უსახლკარო უმუშევრებს მისცეს სათანადო ბინები.

— შრომის ბირჟების შესახებ. ამავე კოლეგიამ დაადგინა შრომის ბირჟები რესპუბლიკაში დატოვებულ იქნეს მხოლოდ ტფილისისა და ბათომისა, ხოლო სოხუმსა, ქუთაისა, ფოთში, ბორჯომში და ჭიათურაში საკორესპონდენტო პუნქტები. დანარჩენ ადგილებზე ისპობა შრომის ბაზრის მომწესრიგებელი როგორც ასეთი და ადგილობრივ შრომის ორგანოებს უფლება ეძლევათ შემდგომი რეგისტრაციისა.

— შრომის ინსპექტორთა ასისტენტთა რიცხვი. კოლეგიამ დაადგინა შემცირდეს შრომის ინსპექტორების ასისტენტთა რიცხვი და დაყვანილ იქნეს ერთამდის რომელიც იმუშავებს ტფილისში.

წითელ ჯარში.

— მზადება პირველ მაისისათვის. საქართველოს წითელ ჯარის პოლიტ-განყოფილება შეუდგა სამზადისს პირველი მაისისათვის. განზრახულია დღესასწაული მოეწყოს ნაძალადევში, ხუდადოვის ტყეში. ჯარის კაცებს აჩვენებენ რევოლიუციონურ კინოსურათებს. აგრეთვე წარმოითქმება სიტყვები და სხვა.

გამომცემლობა.

— „პარიზის კომუნის აპოთეოზი". პოლიტ-განათლების მთავარ-მმართველობის სამხატვრო სექციამ გამოსცა ნ. დუბენსკის წიგნი, ქართულ ენაზე თარგმნილი „პარიზის კომუნის აპოთეოზი".

— „ცოცხალი მანქანა". საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საგამომცემლო განყოფილებამ გამოსცა ქართულ ენაზე დ-რ კიკჩეევის წიგნი „ცოცხალი მანქანა—როგორ უნდა ვმუშაობდეთ".

ხელოვნება

— შალვა დადიანის იუბილე ჭიათურაში. ახლო ხანში ჭიათურაში გაიმართება შალვა დადიანის იუბილე. საიუბილეო კომიტეტი უკვე შემდგარია და აწარმოებს სამზადისს მუშაობას.

— 50 წლის იუბილე. დღეს რუსთაველის თეატრში გაიმართება დამსახურებულ პედაგოგის აფრასიონ ჯაფარიძის 50 წლის მოღვაწეობის იუბილე. მოხსენებას იუბილიარის შესახებ წაიკითხავს გ. ჟუმბურიძე. შემდეგ დაიდგმება „ცხვრის წყარო"-ს მეორე მოქმედება და „მასკოტის" მეოთხე მოქმედება. დასასრულ შესდგება საკონცერტო განყოფილება სარაჯიშვილის, ინაშვილის და შარაშიძის მონაწილეობით.

— ელო ანდრონიკაშვილის წარმოდგენა. ხუთშაბათს, 26 აპრილს რუსთაველის თეატრში გაიმართება ელო ანდრონიკაშვილის წარმოდგენა.

პროვინციაში

სამტრედია.

სამტრედიის რაიონი დიდი ეკონომიური ცენტრია. ის აერთებს ბევრ მდიდარ რაიონებს რკინის გზით, ვაჭრობა-მრეწველობაც აქ დიდათ განვითარებულია; უმეტესათ აქ მისდევენ სიმინდის მოყვანას და მეაბრეშუმეობას. მიწებიც კარგი მოსავლიანია. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ წელს გლეხი ძლიერ დაჩაგრულია, რადგან მისი უმთავრეს ბაზარზე გასატან პროდუქტს, სიმინდს სულ დაეკარგა ფასი. მოსავალი წარსულ წელს კარგი იყო, არ იცის გლეხმა რით დაიკმაყოფილოს ათასგვარი მოთხოვნილებანი. აბრეშუმის მოსავალი გასულ წელს გვარიანი იყო, რომლიდან მიღებულ ფართლით ცოტათი შეიმოსა ხალხი; მხოლოდ საჭიროა დარჩენილი ფული დაჩქარებით დაურიგდეს ხალხს. კავშირმა უკვე დაარიგა 8.000-დის კოლოფი თესლი აბრეშუმის, რომელიც ძლიერ ცოტაა ამოდენა რაიონზე. მოთხოვნილება დიდია, მაგრამ თესლი მეტი არ არის. უნდა ველოდოთ წელს აბრეშუმის პარკის კარგ მოსავალს. თესლს არიგებს აგრეთვე მთავრობის ცენტრალური საწყობი, რომელსაც ეხლა ის შემოლევია.

ყველა ამას გარდა, სამტრედიის რაიონში კარგია ხილის მოსავალიც, მაგრამ მას გლეხების შეუკავშირებლობის გამო ეკარგება ფასი და ღირებულება. ხილი ჩალისფასად უვარდებიათ ხელში ჩარჩ ვაჭრებს. საჭიროა სამტრედიის რაიონის კოოპკავშირმა მიაქციოს ამას ყურადღება და დაარსოს მეხილეთა კავშირი, მოუნახოს ბაზარი ხილს და ასე გზა გაუხსნას გლეხის ნაწარმოებს.

ხვნა-თესვის კამპანია უკვე დაიწყო—მიწებიც საკმაოდ დარიგებული აქვს გლეხებს. მხოლოდ ცუდი ამინდები არ იძლევა საშუალებას ყანების დასამუშავებლათ. აპრილი ცოტა ათბა.

ხან-კანი.

გეჯეთის თემი (სენაკის მაზრა).

გეჯეთის თემში ქალთა შორის მუშაობა სასურველად მიმდინარეობს, არის არჩეული სამი მშრომელი ქალისაგან შემდგარი ბიურო, რომელიც აწარმოებს მუშაობას. 8 მარტის საერთაშორისო ქალთა დღესასწაული ბრწყინვალედ ჩაატარეს. ამ დღეს გახსნეს ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინართა სკოლა, სადაც ითვლება ოცამდის მოწაფე ქალები და ქალიშვილები, იმავე დღეს თეატრად გადაკეთებულ ეკლესიის შენობაში, წარმოდგენას დაესწრო დიდი რიცხვი ქალებისა. გეჯეთის თემში ამ დარგში, მთელ მუშაობას აწარმოებს და ხელმძღვანელობს მასწავლებელი ამხ. ვეკუა.

გეჯეთელი.

ბიბლიოგრაფია

გ. ნ. გეხტმანი.

საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი.

მოკლე ეკონომიურ-გეოგრაფიული მიმოხილვა.
„ცეკავშირის" გამომცემლობა.

ქართველი ახალგაზრდობა, რომელიც უმაღლეს განათლებას ღებულობს მშობლიურ ენაზე, დიდ დაბრკოლების წინაშე იდგა ქართული სახელმძღვანელოების უქონლობის გამო. მარტო ლექციების მოსმენა არ კმარა, მეცნიერების ამა თუ იმ დარგის შესასწავლად აუცილებლათ საჭიროა სახელმძღვანელოები და ამ საშუალებას ქართველი სტუდენტობა უკანასკნელ დრომდე მოკლებული იყო. უკანასკნელ წლეებში კი, მიუხედავათ საგამომცემლო ხარჯების საზღაპროდ გაზრდისა, სამეცნიერო წიგნების და სახელმძღვანელოების გამომცემლობა თანდათან ფართოვდება. ითარგმნება საუკეთესო ავტორების ნაწარმოებნი, გამოდის თვით ქართული უნივერსიტეტის პროფესორთა და ლექტორთა ორიგინალური სახელმძღვანელოებიც. ყოველი ნაბიჯი, ყოველი სერიოზული ცდა ამ მიმართულებით ღირსია თანაგრძნობის. ნ. გეხტმანის წიგნის გამოცემა ამ მხრივ მნიშვნელოვანი ფაქტია.

ამიერ-კავკასიის ეკონომიური გეოგრაფია ახალი ობიექტია მეცნიერების, ის არ არის ჯერ-ჯერობით სავსებით დამუშავებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველი ცდა „საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის გეოგრაფიული და სამეურნეო ცხოვრების სისტემატიურათ შესწავლისა" ვერ იყო სრულებით დამაკმაყოფილებელი.

მეცნიერების ყოველი დარგი მრავალ პირთა მონაწილეობით თანდათან ვითარდება და სრულებით გასაგებია, თუ პიონერი ამა თუ იმ მეცნიერებისა საკითხს ვერ ამოსწურავს სავსებით, ვერ გააშუქებს სათანადოდ და მის ნაწარმოებში დეფექტებს ექნება ადგილი. მიუხედავათ ამისა, ყოველი ნაკლი როგორც ავტორს, ისე გამომცემელს არ ეპატიება. ის, რაც დასაძლევია, დაძლეულ უნდა იქნეს.

გეხტმანის წიგნს აქვს დეფექტები, რომლების თავიდან აცილება შესაძლებელი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ამაზე არც ავტორს და არც გამომცემლობას არ უზრუნვია. მხედველობაში მისაღებია ის მოსაზრებაც, რომ სახელმძღვანელოების შემდგენელს და გამომცემელს გაცილებით მეტი მოეთხოვება, ვიდრე სხვა რომელიმე ბეჭდვითი ნაწარმოებისას. აქ არა თუ ფაქტიურ, არსებით შეცდომას, თვით კორექტურასაც დიდი მნიშვნელობა აქვს და, თუ ის საგრძნობლათ მოისუსტებს, სრულებით უკარგავს წიგნს ღირსებას. სამწუხაროდ გეხტმანის წიგნში კი ადგილი აქვს როგორც პირველი, ისე მეორე ხასიათის შეცდომებს.

ავტორი თავდაპირველად იძლევა ამიერ-კავკასიის საერთო გეოგრაფიულ მიმოხილვას. დასაწყისშივე მას ასეთი დასკვნა მოყავს: „თავისი ადგილსახვით (ტოპოგრაფია), ჰიდროგრაფიით, ჰავით, ნიადაგითა და საზოგადოთ ყოველივე ბუნებრივი და სამეურნეო პირობების მიხედვით, ეს მხარე ევროპის არც ერთ სახელმწიფოს არ ჩამოუვარდება"... ეს მეტად ბუნდოვანი წინადადებაა და ძნელი გასაგებია რის თქმა უნდა ამით ავტორს. რას ნიშნავს „არ ჩამოუვარდება"?

წიგნის მე-8 გვერდზე ნახმარია სიტყვა „ლეყიბო". ეს სიტყვა მკითხველთა უმრავლესობისათვის გაუგებარია და თუ აუცილებელი იყო მისი ხმარება, ახსნა-განმარტება მაინც უნდა ქონოდა.

ასეთივეა გაუგებარი სიტყვა: „ხნარცვი" წიგნის მეთორმეტე გვერდზე და სხვა.

ავტორი მე-10 გვერდზე ამბობს: „სოფელ ცაგერთან რიონი უხვევს სამხრეთისკენ". ცაგერი რიონზე არ ძევს, პირიქით, ის საკმაო მანძილითაა მისგან დაშორებული და მდებარეობს მდინარე ცხენის წყალზე.

მე-19 გვერდზე იქ, სადაც ავტორი იძლევა სოხუმის ოლქის მცენარეულობის მიმოხილვას, პირდაპირ დაუშვებელი შეცდომებია: „ფართე ფურცლოვანი" ტყეს მაგიერ ნახმარი უნდა იყოს ფართე ფოთლოვანი. იქვე „ხეები ერთმანეთზე გადაბმულ-გადახლართულია ლიანითა და ტყის ვაზით". გამოდის, რომ ლიანა ყოფილა რომელიმე მცენარე, ნამდვილათ კი ლიანები (лианы) ეწოდება მცენარეთა განსაზღვრულ ბიოლოგიურ ტიპს. მცენარეების ლათინური სახელები კორექტურული შეცდომებით სავსეა, მაგ. „Nedera", უნდა იყოს Hedera; coechica უნდა იყოს colchica; Kubus უნდა იყოს Rubus. მთარგმნელი რაღატომაც „pereploca graeca„-ს უწოდებს ობვოინიკს, რუსულათ, როდესაც ქართულათ ამ მცენარეს აქვს სახელი „მაკრატელა".

მე-27 გვერდზე მოყვანილია palirus aculeatus, უნდა იყოს paliurus aculealus და სხვა.

ავტორი სხვათა შორის ეხება მიწათმფლობელობის საკითხს საქართველოში და აგრარულ რეფორმას; შედარებით დიდ ადგილსაც უთმობს მათ. 105 გვერდზე ის ამბობს: „სწორეთ ამ მიწის სივიწროვის წინააღმდეგ არის მიმართული საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მიერ გატარებული მიწის რეფორმა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მიწის მუშას ქონდეს საზრდოში მიწა (**трудовая норма**) ოჯახზე 7—14 დესეტინა, რაც მიწის ღირსება-ნაკლულევანებაზეა დამოკიდებული და ყველა დანარჩენი მიწებისაგან, რომელიც თავად-აზნაურობას უსასყიდლოთ ჩამოერთვა, შესდგეს სათადარიგო სახელმწიფო მიწის ფონდი". ეს ამონაწერი ამოღებულია ჟურნალ „საქართველოს ეკონომისტის" № 7 8, და სრულებით შეუფერებელი ანაქრონიზმია მისი განმეორება დღეს, მეტი რომ არა ვსთქვათ. ნუ თუ დღევანდელ და ისიც განახლებულ „ცეკავშირის" მიერ გამოცემულ წიგნებში მენშევიკური მთავრობის რეკლამას უნდა ქონდეს ადგილი თუ პატივცემული ავტორი იზიარებს ზემოთ მოყვანილი დებულებათა დამტკიცებას? მეტათ საძნელო და საეჭვო საქმეა... უმჯობესი იქნებოდა, რაკი ავტორი ამ კითხვას შეეხო, საქართველოში საბჭოთა მთავრობის არსებობის მესამე წელიწადში, მის მიწის კანონმდებლობისთვის დაეთმო ადგილი წიგნში და არა პარიზში გადახვეწილ „მთ[illegible] მოყოლოდა.

წერილ[illegible]ლია წიგნში მოყვანილ ყველა შეცდომების აღნუსხვა, მასალები ვერ არის სათანადოდ დალაგებული და გაშუქებული.

სხვათაშორის აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოსთან შედარებით ავტორი მის მოსაზღვრე და მოკავშირე რესპუბლიკების--სომხეთის და აზერბეიჯანის ეკონომიურ გეოგრაფიულ განხილვას მეტად მოკლე ადგილს უთმობს. საქალაქო ვაჭრობა-მრეწველობა ძალიან ნაკლებათ არის განხილული წიგნში. თარგმანი ვერ არის სავსებით დამაკმაყოფილებელი, მეცნიერული წიგნი უფრო მეტი სისწორით უნდა იყოს გადმოცემული. წიგნის ყველა შეცდომებზე უადგილობის გამო არ შევჩერდები, ვიტყვი მხოლოდ, მიუხედავად ამ შეცდომებისა, გეხტმანის წიგნის გამოცემა მაინც საყურადღებო მოვლენაა ჩვენს მიმდინარე ლიტერატურაში.

ი. ბუაჩიძე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

მარქსისტულ წრეების განაწილება.

— სამშაბათს, 24 აპრილს, საღამოს 6—8 საათზე, მბეჭდავების წრე, ხელმძღ. ამხ. მედვედიევი.

— 2. სამშაბათს, 24 აპრილს და შაბათს 28 აპრილს, 5—7 საათზე, ტფილისის მაზრის საგანგებო დანიშნულების ნაწილების სამმართველოსთან არსებული წრე. ხელმძღვანელი—ამხ. გალკინი.

— 3. ოთხშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 7 ნახ.-იდან 9 ნახ. საათამდე, „სკოლის გარეშე მუშაკთა სახლში" არსებული წრე ხელმძღვანელი—ამხ. პენიაკოვი.

— 4 ქალთა—განყოფილებასთან არსებული წრე სწყვეტს მუშაობას. წრის მსმენელები შეუერთდებიან სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ წრის შემადგენლობას.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის აგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

პროფესიული.

„განათლების მუშაკთა სახლში".

— სამშაბათს, 24 აპრილს მოხსენება ამხ. ლომთაძის: „საკლუბო მეცადინეობის ცდა საბავშვო სახლში".

— ოთხშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 7 საათზე იწყება ლექცია გ. ფ. ჩურსინის „საქართველოს შედარებით ეტნოლოგიაში".

— საქ. კომ. პარტიის ტფილ. ორგ. მე-4 სარ. კომიტეტი იუწყება. რომ ოთხშაბათს, 25 აპრილს, საღამოს 6 საათზე ტფილისის აღმასკომის ყოფილ საბჭოს დარბაზში შესდგება სადელეგატო კრება მე-4-ე რაიონის უჯრედებისა მდივნებთან ერთად.

ყველა დელეგატების და მდივნების დასწრება სავალდებულოა.

პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ
ხაცკევიჩი.

განცხადებები

მეუღლე გიორგი ივანეს ძას უნაფქოშვილის შვილით სოფიოთი, ძმა გარდაცვალებულისა ილია ივანეს ძე ლოლაშვილი დედით, და ანნა ბედოშვილისა, ბიძები: ნიკოლოზ და ივანე გრიგორის ძენი გოგინაშვილები ღრმად დამწუხრებულნი და გულ-დათუთქულნი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს უდროოდ გარდაცვალებას ძვირფას და საყვარელ

ნინო ივანეს ასული
ბებია ექიმის თანაშემწე უნაფქოშვილისას

პანაშვიდები დანიშნულია ყოველ დღე საღამოს 6 საათიდან. გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 25 აპრილს ნაშუადღევს 8 საათზე საკუთარ ბინიდან სუნგენის ქ. № 12, მე-11 უბანი. დაკრძალვა იქნება წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

374 1—1

დედა: ნატალია, დები: ნინა და თამარ, ძმა: კიკილია დიდიძეები, მეგობარი: [illegible] გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს პირველი კურსის სტუდენტის

ქეთო (ქეთუნა) გიგოს ასული
დიდიძის

ტრაღიულად გარდაცვალებას. მიხაილოვის სახელობის საავადმყოფოდან ცხედრის გადმოსვენების შემდეგ გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დღეს 24 აპრილს.

რუსთაველის თეატრი

გაიმართება დამსახურებული პედაგოგის აფრასიონ ჯაფარიძის 50 წლის იუბილეი

1. ცხვრის წყარო
2. მასკოტი
3. კონცერტი

მონაწილეობას მიიღებენ: სარაჯიშვილი, ინაშვილი, შარაშიძე, გოშაძე.

4. მომღერალთა გუნდი: ფოცხვერაშვილის და თარხნიშვილის.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

კრ. 840—1—1

ქ. თბ. მე-11 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს ამავე უბნის სასამართლოში (ტურგენიევის ქ. 4) ორი თვის განმავლობაში ამა განცხადების დაბეჭდის დღიდან მოპასუხე ანნა კაზიმირის ასული ევანგელიდი, დაბადებით კუნკევიჩი, რათა მან უჩვენოს სასამართლოს თავისი მისამართი მისი ქმრის გერასიმ პავლეს ძე ევანგელიდის მიერ აღძრულ საჩივარზე მისდამი განქორწინებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გაირჩევა არსებით.

კრ. 576—1—1

საგარეჯოს უბნის სახალხო სასამართლო

იწვევს ელენე ანდრეასაულ კუტერმანს, დაბადებით ივანოვასას, ორი თვის განმავლობაში გამოცხადდეს ს. საგარეჯოში სახალხო სასამართლოში, პასუხის საგებლად ძიებისა გამო. იაკობ კუტერმანისა მასთან განქორწინების შესახებ.

578—1—1

დაკარგულია უმუშევრის წიგნაკი, გაცემული შრომის ბირჟის მიერ № 3150, 1 იარტი, ბიქტორ გაბუნიის სახელზე
579—1—1

დავკარგე ელიაზარაშვილის სახელზე სახალხო კავშირის სექციის მიერ გაცემული უმუშევართა წიგნაკი № 124.
572—1—1

დავკარგე კუბანოვის სახელზე გაცემული პირადობის მოწმობა
573—1—1

დავკარგე ვასილჩენკოს სახელზე საბჭოს წევრთა არჩევნების კომისიის მიერ გაცემული დროებითი მოწმობა. ჩაითვალოს გაუქმებულად.
575—1—1

დავკარგე მოწმობა სამხედრო კომისარიატისაგან აღებული, ჯარიდან განთავისუფლების შესახებ, არჩილ მასიკოს ძე გურგენიძის სახელობაზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.
კრ. 576—1—1

დავკარგე შალვა ალექსანდრეს ძე დოლიძის სახელზე გაცემული შემდეგი დოკუმენტები: 1) სამხედრო აღრიცხვის ბარათი, 2) თბილისის სისხლის სამართლის მილიციის მოწმობა იმის შესახებ, რომ არ ვყოფილვარ სასამართლოს გამოძიების ქვეშ, 3) მოწმობა ცენტროტრამოტის მე 9-ე რაიონის რწმუნებულისაგან შტატების შემცირების გამო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, 4) ოზურგეთის მაზრის სოფელ ამაღლების აღმასკომიდან პირადობის მოწმობა, 5) თბილისის შრომის ბირჟიდან სარეგისტრაციო ბარათი. ჩაითვალოს გაუქმებულად.
575—1—1